მშვიდობის მოდელები[1]

ოლივერ. პ. რიჩმონდი

მთარგმნელი: ელის ბაქრაძე

სტატია გამოქვეყნდა: Oliver P. Richmond (2006) Patterns of Peace , Global Society, 20:4, 367-394,

მშვიდობის გააზრებისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების, მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევების ლიტერატურა არაერთ სტრატეგიას იყენებს. ისინი, ძირითადად, აერთიანებს წარმოდგენებს, რასის, იდენტობის, იდეოლოგიის ან ძალაუფლების კონცეპტებით კონსტრუირებულ და გეოგრაფიულად განსაზღვრულ მშვიდობაზე, რომელსაც უნივერსალური თვისებები აქვს. ამასთან, საგულისხმოა, რომ სრულად მიღწევა ნაკლებად სავარაუდოდ და უტოპიურად მიიჩნევა. ახლახან, რელევანტურ ლიტერატურაში, მშვიდობის ჰიბრიდული ვერსია, ლიბერალური მშვიდობა გაჩნდა. ის არის უნივერსალური, მიღწევადი და კონკრეტულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული.

მოცემულ ესეში განხილულია მშვიდობისა და ლიბერალური მშვიდობის კონცეპციების გაჩენასთან დაკავშირებული ძირითადი დისკურსიული მახასიათებლები. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ლიბერალური მშვიდობის კონტექსტით, მშვიდობის კონცეფციებში გავრცელებული აზროვნების მოდელები და მათი ონტოლოგიური და ეპისტომოლოგიური შედეგები.

შესავალი

ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების (სუ-ის) ფოკუსი ომის, ძალადობრივი კონფლიქტის და წესრიგის დამყარებისთვის აუცილებელი პირობების გაგებისკენ იყო მიმართული. ამის შედეგადაც, მშვიდობის მოდელების მრავალგვარობის შესწავლას საჭიროზე ნაკლები ყურადღება დაეთმო. ამასთან, ადამიანის ბუნებისთვის, საზოგადოებისა და საერთაშორისო სისტემისთვის, თანდაყოლილი ძალადობის მიდრეკილებების გათვალისწინებით, მშვიდობის ნეგატიური გაგებისგან გამიჯვნა ზედმეტად ამბიციურად და წარმოუდგენლად მიიჩნევა. ამიტომ ,,ნეგატიური მშვიდობა", აკადემიურ ლიტერატურაში, იმ დომინანტურ და აღიარებულ კონცეფციად იქცა, რომელიც მთელი მსოფლიოს გარშემო, სხვადასხვა კონფლიქტის ზონაში, მიმდინარე პროცესებს მყისიერად აღწერს. საგულისხმოა, რომ პოზიტიური მშვიდობისკენ მოწოდებები კი იდეალიზმად აღიქმება. საერთაშორისო ურთიერთობების მეთოდოლოგიური მიკერძოებულობა, რომელიც ,,საერთაშორისოს" გაგებას, პრობლემის გადაწყვეტის რაციონალური მიდგომების საფუძველზე ცდილობს, ფაქტობრივად, მისი სუბიექტების დეჰუმანიზებას, ეფექტურად ახდენს.

[1]ავტორი იყენებს ტერმინ Patterns, რომელსაც ქართულ ენაში არაერთი შესატყვისი აქვს: მოდელის, ნიმუშის, შაბლონის სახით. *(ე.ბ.- მთარგმნელის შენიშვნა).*

ეპისტომოლოგიური მიკერძოებულობა მთლიანობაში მიუთითებს კონსენსუსზე, რომელიც აქცენტს სვამს პრობლემის წარმატებით გადაჭრაზე, მანამ, სანამ მშვიდობის ამბიციური ფორმა დამკვიდრდება[2]. ეს ნიშნავს იმას, რომ მშვიდობა ხშირად ნეგატიურ მშვიდობად აღიქმება, რომელსაც პოზიტიური მშვიდობა გაცილებით უფრო მოგვიანებით[3] მოსდევს. ამის საფუძველსაც ონტოლოგიური მიკერძოებულობა წარმოადგენს, რომლის მიხედვით ,,საგანთა ბუნებრივი წესრიგი" კერძო ინტერესით, ომითა და კონფლიქტით, ჰეგემონიით და დომინაციით დაღდასმულია.

საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში დომინანტურია წარმოდგენის მიხედვით, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ,,ტრაგიკული" გარემოებები, რომლებიც მშვიდობის სრულ დამყარებამდე, ,,მორჯულებას" საჭიროებს. მშვიდობის სხვა კონცეფციების შესახებ აკადემიური ლიტერატურის სიმცირე ამ პოზიციის პოპულარობით შეიძლება აიხსნას. ამის მიუხედავად, არაერთი ანალიტიკოსი და პოლიტიკოსი ეძებს ,,ონტოლოგიურ მდგრადობას", რომელიც მის მონაწილეებს შორის თვითმყოფად (თვითშენარჩუნებად) მშვიდობას უზრუნველყოფს (გარე, საერთაშორისო აქტორების მიერ უზრუნველყოფილი მშვიდობის ნაცვლად). ამას ცდილობდა არაერთი ლიბერალური ინტერნაციონალისტი, ინსტიტუციონალისტი, პლურალისტი, კონსტრუქტივისტი, კრიტიკული თეორეტიკოსი თუ პოსტმოდერნისტი. ამასთანავე, პოლიტიკის დაგეგმვის სპეციალისტებიც, რომლებიც ადამიანურ საჭიროებებსა და უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობენ.

ამ ღრმად ფესვგადგმული მიზეზების გამო, საჭიროა ძირითადი დღის წესრიგი, რომელიც მშვიდობის სხვადასხვა კონცეფციაზე იქნება ფოკუსირებული და საერთაშორისო ურთიერთობებში, ხშირად ირიბად, ისედაც გამოიყენება. ამასთან, ის ზემოთ განხილული მიკერძოებულობის მიმართ, ცვალებადი პრიორიტეტების გავლენისა და ტენდენციების, შესაფასებლად არის საჭირო. მშვიდობის კონცეფცია ხშირად უარყოფილია, როგორც ბინარული კონცეპტი[4], რომელიც მშვიდობასა და ომს ერთმანეთისგან სრულად მიჯნავს. ასეთი მიდგომა რთულად დასაჯერებელ და უტოპიურ ჰარმონიას აჩენს ან ძალიან შეზღუდულ სტაბილურობას, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, ომის დაწყების თუ ომით დამუქრების შესაძლებლობას ეყრდნობა.

გარდა ამისა, მისი შესწავლა ხშირად ისეთი საკითხების აქცენტირებით არის შენიღბული, როგორებიცაა: ძალადობრივი საფუძველი, შუამავლობა, მოლაპარაკებები, კონფლიქტების გადაწყვეტა, მართვა, მშვიდობის მშენებლობა ან პრევენცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ძალზედ მნიშვნელოვანია, ასეთი აქცენტი მშვიდობის სიღრმისეულად შესწავლილის ნაცვლად, მის ნაგულისხმევ თვისებებზე მიუთითებს, ხოლო მშვიდობის იმპლიციტურ გააზრებასთან დაკავშირებული აზროვნების მოდელები, საერთოდ უგულვებელყოფილია[5]. ეს აშკარად არადამაკმაყოფილებელი პოზიციაა, განსაკუთრებით

---

[2] ამ საკითხზე იხილეთ ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: Robert Cox, "Postscript 1985", in Robert Keohane (ed.), Neorealism and its Critics (New York: Columbia University Press, 1986), p. 242; R.B.J. Walker, Inside/Outside: International Relations as Political Theory (Cambridge: Cambridge University Press, 1992).

[3] იხ. Johan Galtung, "A Structural Theory of Imperialism", Journal of Peace Research, Vol. 8 (1971), pp. 81–117.

[4] ბინარულის, როგორც პოზიტივისტურ საერთაშორისო ურთიერთობების ქმედითი მექანიზმის ცნებით დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ: R.B.J. Walker, op. cit., esp. შესავალი.

[5] იხ.Mikkel Vedby Rasmussen, The West, Civil Society, and the Construction of Peace (London: Palgrave, 2003).

სუ-ს თეორიული და მეთოდოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, რომლებსაც მშვიდობის გაცნობიერებული სოლიფსიზმისა და ონტოლოგიური სიმყიფის[6] გამო, მშვიდობისაგან თავის არიდების ტენდენცია ახასიათებთ.

აკადემიურ ლიტერატურაში მშვიდობის შესახებ ვარაუდებისა და დისკურსების არაერთი საერთო მოდელი არსებობს, რომელთა იდენტიფიცირება შედარებით მარტივია. ისინი დისკურსებია, ტრადიციული პოზიტივისტური ხედვის ნაცვლად, რომელიც თეორიასა და ემპირიას ერთმანეთისგან მიჯნავდა. დისკურსები, უნივერსალური და უცვლელი ჭეშმარიტებების ნაცვლად[7], პრაქტიკასთან გადახლართულ თეორიას წარმოადგენენ[8]. ასეთი დისკურსიული მიდგომა მშვიდობის, მრავალი და კონკურენტული ვერსიის, ანალიზისა და იდენტიფიცირების საბაზისო საფუძველს ჰქმნის.

თვალსაჩინოა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებსა და სუ-სთან დაკავშირებულ ლიტერატურაში მშვიდობის ერთი დომინანტური კონცეპტი, იმპლიციტურად არსებობს, ის ლიბერალური მშვიდობის კონცეფციაა[9]. აღნიშნული მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენები მშვიდობასა და მათი განმარტებისგან წარმოქმნილი დისკურსების გარკვევა, თეორიისა და კონფლიქტების ზონებში მოქმედების შედეგად, რეფორმებისა და ცვლილებების მძლავრ, შესაძლოა რადიკალურ, პროცესადაც კი იქცა. დასავლურმა პოლიტიკურმა აზრმა და პოლიტიკამ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ჩარჩოებზე დაფუძნებული მშვიდობის მეცნიერების რეპროდუცირება მოახდინა, რომლის მეშვეობით მსოფლიოში კონფლიქტი ფასდება, მშვიდობა კი შენდება. ეს შესაძლოა მშვიდობის რაობაზე, პოსტგრამშისეული მრავლობითი ,,ჰეგემონიის"[10] გამოხატვა იყოს, მაგრამ როგორც მოცემული ესე აჩვენებს, ,,მშვიდობას" არ აქვს თანდაყოლილი მნიშვნელობა[11], ის მრავალს შორის, სპეციფიკურ სიტუაციად უნდა კვალიფიცირდეს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს, თუ ვინ და როგორ აღწერს მშვიდობას, ისევე როგორც, თუ ვინ და რატომ აშენებს მას.

მოცემულ ესეში, უპირველესად, განხილულია საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის კონცეფციების სხვადასხვა მიდგომა და ასახავს იმას, რაც შეიძლება, სუ-ში მშვიდობის კონცეპტის ქვეშ მოაზრებულ, ცხრა განსხვავებულ (თუმცა ხშირად ურთიერთმომცველ) მოდელად ჩაითვალოს. ამავდროულად, ნაშრომში განხილულია მათი თეორიული, კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ონტოლოგიური შედეგები.

საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის სხვადასხვა მიდგომის შედეგები

---

[6] იხ. Karin Fierke, "Whereof we Can Speak, Thereof we Must Not be Silent: Trauma, Political Solipsism and War", Review of International Studies, Vol. 30, No. 4 (2004), pp. 471–491.

[7] Michel Foucault, Power/Knowledge: Selected Interviews and Other Writings 1972–1977 (New York: Pantheon, 1980), p. 30; Michel Foucault, The Archaeology of Knowledge (London: Tavistock, 1972), p. 205.

[8] Roland Bleiker, Popular Dissent, Human Agency, and Global Politics (Cambridge: Cambridge University Press, 2000), esp. შესავალი.

[9] განხილული საკითხების დეტალური ანალიზისათვის იხილეთ: Oliver P. Richmond, The Transformation of Peace (London: Palgrave, 2005).

[10] Quintin Hoare and Geoffrey Nowell-Smith (eds.), Selections from the Prison Notebooks of Antonio Gramsci (London: Lawrence & Wishart), pp. 56–59.

[11] Rasmussen, op. cit., p. 16.

საერთაშორისო ურთიერთობების, მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევების, ლიტერატურაში, მშვიდობის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, არაერთი განსხვავებული სტრატეგია გამოიყენება. ზოგადად, მშვიდობის კონცეფციები, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი თეორიული დებატებიდან გამომდინარეობს, შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაიყოს:

1. რეალიზმი - საერთაშორისო ანარქია საშინაო წესრიგთან თანაარსებობს მანამ, სანამ ძლიერი ჰეგემონი გამოჩნდება, რომელსაც დროით შეზღუდული და გეოგრაფიულად შემოსაზღვრული მშვიდობის დაწესება შეუძლია. მშვიდობა, ძირითადად, ძალის გამოყენებას ან ძალით დაშინების საფრთხეს ეფუძნება. ეს არ გამორიცხავს მცირე მასშტაბურ სასაზღვრო, ტერიტორიულ და ეთნიკურ, ენობრივ, რელიგიურ (თუ იდენტობის სხვა მახასიათებლის დონეზე წარმოქმნილ) კონფლიქტებს. ამ ტიპის მშვიდობა ძალთა ბალანსს, იგივე დომინირებას, საფრთხის აღქმას და სამხედრო ძალის განდიდებას ეყრდნობა.

2. იდეალიზმი და უტოპიზმი - მომავალის და სრული მშვიდობის სურათს გამოსახავს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ჰარმონიით, რომელიც შიდა თუ საერთაშორისო გარემოსაც მოიცავს. ამ ტიპის მშვიდობა ყველაზე მეტად სასურველად, თუმცა ფაქტობრივად, ძალიან რთულად მისაღწევად მიიჩნევა. ის „იდეალური ფორმაა“[12].

3. ლიბერალიზმი - მისი მრავალი წახნაგით, როგორიც არის ლიბერალური ინტერნაციონალიზმი ან ინსტიტუციონალიზმი, აგრეთვე ნეოლიბერალიზმი ტრანსნაციონალურ გარემოში, სამართლიანობის და თანხმობის მნიშვნელოვან დონეებზე დაფუძნებულ, ზოგად მშვიდობას წარმოსახავს, რომელიც ინდივიდუალიზმიდან, თავისუფლებიდან, სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური უფლებებიდან და პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს. ამ დინამიკას სუბიექტების იერარქია აკონტროლებს, რომელიც უნივერსალური ნორმატიული ჩარჩოების შესაბამისად, მათ შესრულებას უზრუნველყოფს და არეგულირებს. ამავდროულად, საზოგადოდ აღიარებულია, რომ ეს მშვიდობა, სავარაუდოდ, მარგინალური სუბიექტების მიერ, უსამართლობით, ტერორიზმით, სეპარატიზმით ან პარტიზანული ომებით შეიბღალება. და მაინც, ეს არის დამაჯერებელი, მიღწევადი, თუმცა გეოგრაფიულად შემოსაზღვრული, მშვიდობა, რომელიც (პირველ მონაკვეთში განხილული) ფაქტორების საფუძველზე მოქმედი, სხვა აქტორების შედეგია. ამ სტრუქტურაში, მშვიდობა შეიძლება ინტერვენციის სხვადასხვა ფორმის (რომლის არაერთი მაგალითი თანამედროვეობაში გვაქვს) მეშვეობით კონსტრუირდეს. ის ხშირად რეალურად არსებულ იდეალურ ფორმად განიხილება.

4. პოსტმოდერნიზმი/სტრუქტურალიზმი და კრიტიკული თეორია (და მარქსიზმის გავლენის მქონე სხვა მიდგომები) ემანსიპატორულ მშვიდობას ასახავს, რომელშიც სოციალური თუ ეკონომიკური სამართლიანობის ფორმების, იდენტობისა და რეპრეზენტაციების განხილვა, შესაძლებელს ხდის მარგინალიზებული სუბიექტების: ქალების, ბავშვების და უმცირესობების, აგრეთვე ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას. კრიტიკული თეორია ამ შედეგის მიღწევას რეფლექსური გათავისუფლების საფუძველზე ცდილობს მაშინ, როცა პოსტმოდერნისტული მიდგომები, რელატივიზმის პრიზმით, გათავისუფლების გზაზე დაბრკოლებების გენეოლოგიური მასშტაბის და მისი გაუთვალისწინებელი შედეგების გათვალისწინებით, მის დამაჯერებლობას ეჭვის თვალით უყურებს. ჰიპოთეტურად, ორივე მიდგომა თანხმდება იმაზე, რომ მარგინალური აქტორები თუ დისკურსები აღიარებული და წარმოდგენილი უნდა იყოს, ხოლო დომინირების დისკურსები და პრაქტიკები კი რადიკალური

[12] იხ. Plato, “The Allegory of the Cave”, The Republic of Plato (trans. Francis MacDonald Cornford) (Oxford: Oxford University Press, 1941).

რეფორმების მეშვეობით უნდა გაუქმდეს. მიუხედავად ამისა, მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია უნივერსალური მშვიდობა (კრიტიკული თეორია) ან მშვიდობის მრავალგვარი მდგომარეობები (პოსტმოდერნიზმი) საკამათოა. საგულისხმოა, რომ აქ ჯერ კიდევ არსებობს ძლიერი შეგრძნება იმის, რომ მშვიდობა, როგორც იდეალური ფორმა, მიღწევადია.

ზემოთ აღწერილი, დასახელებული პირველი ტიპი მიუთითებს სიტუაციაზე, როდესაც კონფლიქტი საერთაშორისო ყოველდღიურობის ნაწილია და სადაც სომარი და სამშვიდობო დროის პირობები ურთიერთმოქმედებენ ისე, როგორც ავღანეთისა და ერაყის მსგავს, კონფლიქტის ზონებში მყოფთათვის არის ცნობილი. II ტიპი იდეალურ ფორმაზე მიუთითებს, ხოლო III ტიპი - სიტუაციაზე, როდესაც მშვიდობა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არის დომინანტური. მაგალითად, კამბოჯასა და კოსოვოს მსგავსი პოსტკონფლიქტური ზონები, IV ტიპი ხახს უსვამს იმას, რომ მშვიდობის პირობები შესაძლოა ბოლომდე არ იყოს აღიარებული. მშვიდობასა და წესრიგთან დაკავშირებული ძირითადი ვარაუდები კი, შესაძლოა, მოსალოდნელზე უფრო მეტად იყოს საკამათო. ეს ტიპოლოგია, მშვიდობაზე ჩვენი წარმოდგენის, ფუნდამენტურ პრობლემას აღწერს, რომლის მიხედვით მშვიდობა მონოლითური კონცეფციაა. ამ უკანასკნელს მშვიდობის ძალადობასთან კავშირის უგულვებელყოფის ტენდენცია ახასიათებს. ამრიგად, ,,მშვიდობა“ ქაბულსა თუ პრიშტინაში შეზღუდულია და არ ვრცელდება მთელ სახელმწიფოზე, სადაც ანკლავები, მოუწესრიგებელი სახელმწიფოს ნარჩენები და კანონგარეშედ მყოფი რეგიონები გადარჩება. მეორე მოდელის გამოკლებით, ყველა დანარჩენ მოდელში, მშვიდობასა და ომს შორის ურთიერთკავშირის დინამიკა გარკვეული ხარისხით ვლინდება.

ომისა და ომის კატეგორიებისადმი ჩვენი ინტერესის მიუხედავად, მშვიდობის კატეგორიზაცია ვერ სცდება წრფივ მოდელს, სადაც წრფის ერთ მხარეს ომია, მეორეზე კი უტოპიური მშვიდობა. ომისა და მშვიდობის ინტეგრალური ბუნების აღიარების ნაცვლად, მშვიდობაზე მსჯელობის ყველაზე გავრცელებული მიდგომებით თუ ვიმსჯელებთ, ამ საკითხზე დებატები კონფლიქტის დასრულებამდე, იშვიათია. როგორც წესი, ამას გაურბიან. ეს ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტის გავრცელების შედეგად, მშვიდობაზე იშვიათად ფიქრობენ. ახლახან, აღნიშნული პარადოქსი ,,მშვიდობის მშენებლობის კონსენსუსის“[13] შექმნით გარკვეულწილად გადაიჭრა. კონსენსუსი სხვადასხვა დოკუმენტს ეყრდნობოდა: ბუტროს ღალის ,,მშვიდობის დღის წესრიგით“ დაწყებული, უახლესი ,,მაღალი დონის პანელური ანგარიშის“ გათვალისწინებით და განვითარების პროცესების მონაწილეთა, საერთაშორისო ორგანიზაციების (IO), დონორების, რეგიონალური ორგანიზაციების (RO), არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO), საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IFI) და სააგენტოების[14] პუბლიკაციების ჩათვლით. ამ

[13] რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ძირითად სახელმწიფოებს, დონორებს, სააგენტოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სუსტ კონსენსუსზე მიუთითებს, იმის შესახებ, რომ ლიბერალურმა მშვიდობამ საბაზრო დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და განვითარების ინკორპორირება უნდა მოახდინოს. უფრო მეტიც, ყველა საერთაშორისო ინტერვენცია, ჰუმანიტარული თუ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, ამაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ეს კონსენსუსი ნიღბავს უფრო ღრმა უთანხმოებას, რესურსების გამოყენების, საბაზისო რეფორმის დასამყარებლად ძალის გამოყენების და სხვადასხვა აქტორის როლების ეფექტურად შესრულების შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში იხ: Oliver P. Richmond, “The Globalisation of Approaches to Conflict”, Cooperation and Conflict, Vol. 39, No. 2 (2004), pp. 129–150.

[14] იხ: Boutros Boutros-Ghali, An Agenda for Peace: Preventative Diplomacy, Peacemaking and Peacekeeping (New York: United Nations, 1992); Boutros Boutros-Ghali, An Agenda for Development:

დოკუმენტებში დებატების და დაძაბულობის წყაროს წარმოადგენს მრავალფეროვან ადგილებში, მშვიდობის მშენებლობის რეალურობის საკითხი. მაგალითად, 1990-იანი წლებიდან კამბოჯაში, ავღანეთსა და ახლანდელ ერაყში.

ამ განსხვავებულ მიდგომებში არსებობს ცხრა ძირითადი მოდელი, რომლის მეშვეობით მშვიდობის წარმოდგენა, თეორეტიზება და პრაქტიკაში გამოცდა არის შესაძლებელი. ისინი მოქცეულია უფრო ზოგად ინტელექტუალურ ჩარჩოებში, რომლებიც ლიბერალური მშვიდობის განუყოფელი ელემენტებით არის უზრუნველყოფილი. მშვიდობის ეს ვერსია მოიცავს დისკურსიულ წარმოდგენას: სამშვიდობო პოლიტიკის და მექანიზმების, ინსტიტუტების, აქტორებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც ლიბერალური მშვიდობის გასაძლიერებლად არის საჭირო, იქნება ეს, საერთაშორისო, სახელმწიფოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ინტერვენცია. ეს გლობალური, ლოკალური თუ რეგიონალური ურთიერთქმედების ჩარჩოების და მოდელების აღქმას შესაძლებელს ხდის. აღნიშნული სტრატეგიები მოიცავს სივრცულ და დროით მიდგომებს. მშვიდობა აღქმადი საფრთხეებისადმი წინააღმდეგობის გაწევად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ის შესაძლოა გამარჯვებულის მშვიდობა იყოს, ან იქნეს გაგებული და დაპროექტებული იყოს, როგორც პოლიტიკური ერთობის შიგნით, ისე გარედან. მას შეიძლება, სპეციფიკური პოლიტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, კონკრეტული ლოგიკა ჰქონდეს (მაგალითად, დემოკრატია და კონსტიტუციონალიზმი), კონკრეტული საერთაშორისო სტრუქტურა (ძალთა ბალანსი ან ინსტიტუციონალიზმი და მართვა) ან ეკონომიკური სტრუქტურა (თავისუფალი ვაჭრობა და ბაზრები), ან სოციალური სტრუქტურა (საერთო და შეთანხმებული იდენტობა ან იდენტობის, სამოქალაქო საზოგადოების და ადამიანთა უფლებების ერთიანობა).

ზემოთ ჩამოთვლილი, თეორიული მიმართულებების იმპლიციტური მოდელების საფუძველზე, მშვიდობის შესახებ დასკვნის გაკეთება შეიძლება. ის მოიცავს ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ, აგრეთვე თეორიულ ვარაუდებს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

მშვიდობის მოდელები

1- მშვიდობა, როგორც შიდა/გარე ბინარული დეფინიცია

პირველ სურათზე განხილულია მშვიდობის არაერთ კონცეფციაში გავრცელებული, ძირითადი ბინარული დიფერენციაცია, რომელიც მნიშვნელოვანი დებატების საგანს წარმოადგენს ხოლმე. საყურადღებოა, რომ ამ დებატების განხილვისას მათი სუბიექტური ხასიათი იკვეთება. დებატების უმრავლესობაში, რეალისტებისთვის, სერიოზული განსჯის საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო - ცენტრი (State - Centricity[15]), რომელზეც

Report of the Secretary-General, A/48/935 (6 May 1994); Boutros-Ghali, "Supplement to An Agenda for Peace", A/50/60, S.1995/1 (3 January 1995); Boutros Boutros-Ghali, An Agenda for Democratization, A/50/332 and A/51/512 (17 December 1996); Report of the Secretary-General's High Level Panel on Threats, Challenges, and Change (New York: United Nations, 2004); World Bank Conflict Prevention and Reconstruction Unit, Conflict Analysis Framework (World Bank, 26 August 2003); International Commission on Intervention and State Sovereignty, The Responsibility to Protect (Ottawa: International Development Research Centre, 2001

[15] იგულისხმება საერთაშორისო ურთიერთობების მიდგომა, რომლის მიხედვით, სახელმწიფოა ცენტრი, ორიენტირების მთავარი საგანი *(ე.ბ.- მთარგმნელის შენიშვნა).*

მსჯელობისას, მშვიდობისთვის აუცილებელი შიდა და საერთაშორისო პირობების განსხვავების შესახებ ხშირად საუბრობენ. აღნიშნული მშვიდობას ობიექტურ კონცეფციად წარმოიდგენს და მას ისეთ თვისებებს ანიჭებს, როგორიც არის თავდასხმა ან თავდაცვა. საერთაშორისო და ადგილობრივ აქტორებს ერთმანეთისთვის მშვიდობის დამყარების უფლება მიეწერებათ. შიდა აქტორები, საერთაშორისო სისტემაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ, მაშინ როცა საერთაშორისო აქტორები სახელმწიფოს შიდა საქმეებში ერევიან. ინტერვენცია, როგორც სამხედრო ძალაუფლების გამოყენების, ისე მშვიდობის სახელით, მმართველობის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფორმების კონსტრუირების გზით ხორციელდება.



სურათი.1: მშვიდობისა და კონფლიქტის განსაზღვრა

კონფლიქტისა და მშვიდობის ინტერნალურ (შიდა) და ექსტერნალურ (გარე) გაგებებს შორის განსხვავება, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებს შორის გარდაუვალ უთანასწორობაზე და აქტორთა ორ ჯგუფს შორის, ,,საერთაშორისო“ და ,,ადგილობრივ“ გარემოში, ძალზედ გამარტივებულ, ხშირად სადავო საზღვარზე მიუთითებს. აღნიშნული მშვიდობის საერთაშორისო დისკურსის დაუძლეველ წონას და მათსა თუ საშინაო დისკურსებს შორის ძალადობრივი უთანხმოების შესაძლებლობას ხაზს უსვამს. მაგალითად, ვიეტნამის ომის დროს, აშშ და ადგილობრივი მონაწილეები, ომის პირობებში ყოფნას აღიარებდნენ. ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტში კი აქტორებმა კონფლიქტი განსხვავებულ ფრონტებზე აღიქვეს. კერძოდ, ჩრდილოეთ ირლანდიელმა ადგილობრივმა ის ომად მიიჩნეს, მაშინ როცა ბრიტანულმა მთავრობამ კონფლიქტი ტერორიზმის შედეგად შეაფასა. იმავდროულად, ორივეს, აშშ-სა და ბრიტანეთის მთავრობებს, შეეძლო რეგიონულ კონფლიქტებში ჩართულობა გამოეხატათ. ცივი ომის დროს კი, ნავარაუდევი იყო ისიც, რომ ისინი, სხვა დონეებზე, ,,მშვიდობის“ პირობებში იყვნენ.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების მიერ აღქმული ერთმანეთისგან სრულად განსხვავდება, ვინაიდან გლობალიზაცია გამოვლილ და ტრანსნაციონალურ ,,ინტერნაციონალურ საზოგადოებაში“, ადგილობრივ თუ საერთაშორისო აქტორებს შორის არაერთი კავშირი არსებობს. ეს მშვიდობის ინტერსუბიექტურობას აჩვენებს. კერძოდ, იმას განსხვავებას, თუ როგორ ესმით ის, კონფლიქტის გამოვლენასა და რეაგირებაში ჩართულ სხვადასხვა სუბიექტს, აგრეთვე, მათ, ვინც ლიბერალური მშვიდობის კონსტრუირებაში მონაწილეობს. არ არის აუცილებელი,

რომ სხვადასხვა ადგილობრივი სუბიექტის მიერ კონფლიქტის აღქმა საერთაშორისო ორგანიზაციების, სააგენტოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფოების (რომლებიც, ზოგადად, კონკრეტულ პირობებში, კონფლიქტზე რეაგირებენ, მაგალითად, როდესაც ადამიანის უსაფრთხოება და უფლებები მასშტაბურად ირღვევა,) აღქმას ემთხვეოდეს. ანალოგიურად, კონფლიქტის ზონაში ახალი მშვიდობის დამყარებაზე მიმართული, საერთაშორისო რეაქცია შესაძლოა უარყოფილ იქნას ზოგიერთი ადგილობრივი სუბიექტის მიერ, რომლებმაც ახალი მშვიდობა მათი ინტერესების დარღვევად, ფაქტობრივად, ომის აქტად შეიძლება აღიქვან. ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. შესაძლოა, განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ადრეულ მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკის ან ავსტრალიის კოლონიზაცია. ამ დროს მშვიდობის ურთიერთგამომრიცხავმა ვერსიებმა შექმნეს პრეცენდენტი, რომელსაც ზოგიერთი, ახალმოსახლეების მიერ ადგილობრივი ტომების გენოციდს უწოდებს[16]. ურთიერთობის ეს ტიპი სუბსაჰარული აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის კოლონიზაციის ტალღების დროსაც განმეორდა.

უფრო თანამედროვე მაგალითად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სომალიში, აშშ-სა და გაეროს ინტერვენცია, რომელიც ეფექტური მმართველობის დამყარებასა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევას ისახავდა მიზნად, ან 1990-იან წლებში, ბოსნიასა და კოსოვოში ნატოს ინტერვენცია. ამ შემთხვევებში, საზოგადოების ნაწილი, ძალადობრივი და არაძალადობრივი მეთოდებით, მშვიდობის მშენებლობას, აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა. მთავარი მიზეზი, გარე აქტორების მიერ, მშვიდობის საერთაშორისო დისკურსების მეშვეობით, შემოთავაზებული ლოკალური და პარტიკულარული დომინაციის უარყოფა იყო.

2- მშვიდობის დროითი მოდელები

მეორე გავრცელებული კონცეპტი მშვიდობის დროით მახასიათებლებს უკავშირდება. ამ მოდელშიც, მშვიდობა ობიექტურ კონცეფციად აღიქმება. ისტორიულად, მშვიდობა ფატალურ დანაკლისად განიხილება, რომელმაც მის სრულ განადგურებამდე მიგვიყვანა (თუმცა, ამავდროულად, პოპულარულია წარსულისა და ,,დაკარგული" მშვიდობის ასოციაციაც. მაგალითად, ჰომეროსის ოქროს საუკუნე). ის შეიძლება აწმყოში არსებობდეს და დაცვასა თუ გაძლიერებას საჭიროებდეს (რაც XIX საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში, ომებს შორის პერიოდსა და ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩანდა) ან არსებობდეს მომავალში, როგორც იდეალური ფორმა (როგორც ეს მარქსისტულ თეორიებშია).

ასეთი დროითი განზომილებები, გარკვეული მეთოდების გამოყენებით მიღწეული მშვიდობის შესახებ, ზოგიერთი აქტორის მსჯელობის განმტკიცებისთვის საფუძველს ჰქმნის. ამ მეთოდების ცოდნა ექსკლუზიურია, მას მხოლოდ სპეციფიკური და ვიწრო სპეციალობის მქონე კონკრეტული აქტორები ფლობენ. ეს იმას გვკარნახობს, რომ მშვიდობის კონსტრუირება, სამშვიდობო პროცესების დამცველებს, მშვიდობის მშენებლობის მეურვეებსა და ინტერვენციისა თუ მომავალი მშვიდობის მიმღებებს შორის, პირობით ურთიერთობას წარმოშობს, რომელიც პრობლემების გადაწყვეტასა და რეფორმების ტექნიკურ პროცესს ეფუძნება. აღნიშნული საკმაოდ გავრცელებული

[16] იხ: Paul Keal, European Conquest and the Rights of Indigenous People (Cambridge: Cambridge University Press, 2003).

მოსაზრებაა. მისი საწყისი ლიბერალურ-საერთაშორისო და ფუნქციონალისტური აზროვნებაა, რომელიც ლიბერალური აქტორების თანამედროვე წარმოდგენებში მუდმივად დომინირებს და რომლის მიხედვით, მშვიდობის მიღწევა მეთოდურად, 5-10 წლის განმავლობაში, კონკრეტული გეგმის დაცვით არის შესაძლებელი. ამრიგად, ითვლება, რომ მშვიდობა წრფივი, ქრონოლოგიური ღერძის გასწვრივ ვითარდება და შეზღუდულ დონეზე, ადამიანურ ჩარევას, ინტერვენციას ექვემდებარება (იხ. სურათი 2).



სურათი.2.: მშვიდობის დროებითი მახასიათებლები

3- მშვიდობის გეოგრაფია

მესამე მიდგომა მშვიდობას გეოგრაფიულად წარმოიდგენს. კერძოდ, მშვიდობაზე მსჯელობისას, პოპულარულია იმ ტერმინოლოგიის ხშირი გამეორება, რომელიც სამშვიდობო და კონფლიქტის ზონების არსებობაზე მიუთითებს[17]. აღნიშნული გამარტივებულ სტილისტურ მეთოდზე ოდნავ მეტია, თუმცა ის, მშვიდობასა და კონფლიქტის შესახებ, არაერთ ინტელექტუალურ თუ პოლიტიკურ დისკურსში, აზროვნების დომინანტურ ფორმას წარმოადგენს. მიდგომა ხშირად ცივი ომის დროს, ზესახელმწიფოების კონფლიქტში, ურთიერთდაპირისპირებული ბანაკების აღსაწერად გამოიყენებოდა. ახლაც, ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის განსხვავების აღსაწერად, (მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არიან ისინი ომის პირობებში, ან წარუმატებელი პოლიტიკური სისტემის, თუ ეკონომიკური მიზეზების გამო კოლაფსს განიცდიან), რეგულარულად გამოიყენება. ასეთად მიიჩნევა: ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი, ავღანეთი, ერაყი, სუბ-საჰარული აფრიკა და ბალკანეთი. რელევანტურ ინტელექტუალურ და პოლიტიკურ დისკურსებში აზროვნების ეს ტიპი მუდმივად მეორდება, მაგალითად, სუ-ს პოპულარულ, კოსმოპოლიტურ წარმოდგენებში, სადაც დასავლეთი გეოგრაფიულ ცენტრად მიიჩნევა. სივრცული დაყოფა ომსა და მშვიდობას შორის განსხვავების ორთოდოქსული გაგებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

[17] იხ. მაგ: Max Singer and Aaron Wildavsky, The Real World Order (New Jersey: Chatham House, 1993), p. 3.

თვალსაჩინოა ისიც, რომ ,,ახალი ომების“ და ,,ტერორის ომების“[18] თანამედროვე ეპოქაში, მისი შენარჩუნება სულ უფრო რთულდება.

ასეთი კონცეფციის შექმნის შედეგს წარმოადგენს ის, რომ მშვიდობისა და კონფლიქტის ზონები ერთმანეთისგან სრულად დაშორებული და შემოსაზღვრულია, შესაძლოა დახურული საზღვრებითაც კი. კონფლიქტის ზონებში მშვიდობის გასავრცელებლად, კონფლიქტის ზონების ნორმალიზებისთვის, ლიბერალურ-ინსტიტუციონალური, ნეო-ლიბერალური და დემოკრატიული ნორმებისა თუ ჩარჩოების დასანერგად, გარე აქტორებმა მათზე წვდომა უნდა მოიპოვონ. ბოლო დროს, გავრცელებულია მოსაზრება, რომ კონფლიქტის ზონები შესაძლოა მშვიდობის არალიბერალურ ზონებად ტრანსფორმირდეს, რაც სრულფასოვანი ლიბერალური მშვიდობისკენ გადადგმული, მოსამზადებელი, ნაბიჯი იქნება[19]. საყურადღებოა, რომ მესამე სურათზე, სივრცული რეპრეზენტაცია უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, ლიბერალური მშვიდობის ზონა, სავარაუდოდ, კონფლიქტის ზონაზე, ოდნავ დიდი იქნებოდა. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის იმ დეფინიციას გამოვიყენებთ, რომელიც არასახელმწიფოებრივი აქტორების პრობლემებს აერთიანებს (რომელიც განვითარებასა და ადამიანების უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება[20]), ხოლო მშვიდობის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის შესადარებლად, მოსახლეობასთან, რომელიც მშვიდობის პირობებში არ ცხოვრობს, პოპულაციის ზომის საილუსტრაციოდ, დემოგრაფიული კარტოგრაფიის დამატებით, ეს სურათი მნიშვნელოვნად შემცირდება.



სურათი 3: მშვიდობის სივრცითი თვისებები

4- მშვიდობის დონეები და აგენტები

[18] ორთოდოქსული თეორიისა და მისი შედეგების გასააზრებლად, იხ: ason Franks, Rethinking the Roots of Terrorism (London: Palgrave, 2006).
[19] მაგ. იხ: Roland Paris, At War's End (Cambridge: Cambridge University Press, 2004), p. 209.
[20] დაინტერესების შემთხვევაში იხ: Felix Dodds and Tim Pippard, Human and Environmental Security (London: Earthscan, 2005).

მშვიდობის გააზრების კიდევ ერთი თანამედროვე მოდელი, საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა აქტორისა და დონეების შესწავლისას (Levels-of-Analysis) ჩარჩოს გამოყენებით შეიძლება გავიაზროთ. ამ თეორიული ჩარჩოს მიხედვით, მშვიდობა სამოქალაქო საზოგადოებაში, სახელმწიფოში ან ინსტიტუციონალურ, რეგიონალურ ან საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე შესაბამის ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სოციალურ ლოგიკაში (ან იდეოლოგიაში) ბინადრობს. ისევ, მშვიდობისადმი სხვადასხვა მიდგომა, ერთი კონკრეტული დონისადმი უპირატესობის მინიჭების თუ მნიშვნელობის შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, ცივი ომის დროს, ბევრი სამშვიდობო შეთანხმება ფოკუსირებული იყო სახელმწიფოს წარმომადგენელ, ადგილობრივ და რეგიონალურ დიპლომატებთან, ჩინოვნიკებსა და პოლიტიკოსებთან, ეგრეთ წოდებული ,,მაღალი დონის“ შეთანხმებებზე. ისინი ხშირად ისეთ კონსტიტუციურ და ტერიტორიულ საკითხებზე მსჯელობდნენ, მაგალითად, როგორიც არის: 1979 წლის კემპ-დევიდის შეთანხმება. ცივი ომის დასრულებასთან ერთად, სოციალური, ეკონომიკური თუ განვითარების საკითხების განხილვა და სამშვიდობო შეთანხმებების, პოლიტიკური სისტემების რეფორმირებისა თუ სოციალური სამართლიანობის დანერგვისთვის გამოიყენება, ამასთან, ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა. მაგალითად: ჩრდილოეთ აფრიკაში, ბოსნიაში, კოსოვოსა თუ აღმოსავლეთ ტიმორში. აღნიშნული ინსტიტუტებზე, აქტორებსა თუ სხვადასხვა დონეზე გაჩენილ პრობლემებზე ყურადღების კონცენტრირებას ნიშნავდა, რის საფუძველზეც, ზოგიერთმა იმის მტკიცება დაიწყო, რომ სახელმწიფო ცენტრულმა ანალიზმა აქტუალობა დაკარგა. სამოქალაქო საზოგადოების დონეზე კი, იდენტობასთან, ადამიანის უფლებებთან, განვითარებასა და დემოკრატიულ უფლებებთან დაკავშირებული დისკურსები თვალშისაცემი გახდა.

სახელმწიფოს დონეზე ფოკუსმა განვითარებისა და სხვა სახელმწიფოებსა თუ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ხელშემწყობ შინაგან სტრუქტურებზე გადაინაცვლა. საერთაშორისო დონეზე ყველა ზემოთ განხილულის საჭიროება შეიძლება გაჩნდეს, ან ასეთი პრობლემებსა თუ აქტორების ნაკრებზე ყურადღების კონცენტრაცია იყოს საჭირო. ამრიგად, შეიძლება წარმოიქმნას დისკურსი, რომელიც სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას, მმართველობის ტიპებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების როლს უკავშირდება. თავისუფალი ვაჭრობისადმი მიმართული ეს არგუმენტები და განსაკუთრებით, მათი კავშირი დემოკრატიულ მშვიდობასთან, მშვიდობასთან დაკავშირებული პოპულარული დისკურსია, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ზრდადი მნიშვნელობა და ამ პროცესის შეფასება ანალიზის დონეების (Levels-of-Analysis) საფუძველზე, მშვიდობის მიდგომა სახელმწიფოსა და ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ დონეზე არსებულ დაძაბულობას ხაზს უსვამს და ყოველი დონის ავტონომიურობისა და ჰეგემონი აქტორისთვის (მთლიანობაში, სახელმწიფოსადმი) წინააღმდეგობის გაწევის უნარის შესახებ კითხვას სვამს. ყველა ეს ვარიანტი, თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპზე, თანამედროვე ლიბერალური მშვიდობის შესახებ დისკურსებისა და პრაქტიკების განვითარებასთან ერთად, მშვიდობის კონსტრუირების კერებად შეიძლება მივიჩნიოთ.

5- მშვიდობის სპეციფიკური ლოგიკა

მშვიდობის ეს ნაცნობი კონსტრუქცია, მთელ რიგ წინამორბედთა საფუძველზე წარმოიქმნა და უკავშირდებოდა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, იდენტობაზე დაფუძნებულ თუ რელიგიურ დებატებს, იმის შესახებ, თუ სისტემის რომელ ტიპს შეუძლია ან არ შეუძლია მშვიდობის წარმოქმნა. ამრიგად, ითვლება, რომ მშვიდობას აქვს კონკრეტული და ობიექტური ლოგიკა ან იდენტობა,

რომელიც განსაზღვრული შედეგის მისაღწევად, ფორმულას ან კონკრეტულ მეთოდოლოგიას უზრუნველყოფს. ისინი კონკრეტული სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩარჩოებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, დაწყებული სოციალიზმით, სოციალური სამართლიანობის მოდელებიდან, დემოკრატიისა და თავისუფალი ვაჭრობის, ნეოლიბერალიზმით დამთავრებული. დემოკრატიულ მშვიდობაზე კამათი, მისი კანტიანური საფუძვლიდან დაწყებული, ფართო თანამედროვე ლიტერატურით დამთავრებული, საყოველთაოდ ცნობილია. ამტკიცებენ, რომ ეს არის ემპირიული კანონი, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოების ერთობისკენ მივყავართ, რომელიც როგორც თავისი მაცხოვრებლების, ისე უცხოელების, უფლებებსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს[21]. მშვიდობა, ამასთანავე, შეიძლება ასოცირდებოდეს სისტემასთან, რომელიც სოციალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, როგორც თავის პრიორიტეტს. ის შეიძლება უკავშირდებოდეს კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემას, საბჭოთა კავშირის, მისი სატელიტებისა თუ მოკავშირეების ცენტრალიზებულ გეგმიური ეკონომიკით დაწყებული, განვითარებული ქვეყნების თავისუფალი ვაჭრობის, საბაზრო და გლობალური ეკონომიკით დამთავრებული. ამასთანავე, ის შეიძლება სოციალურ სტრუქტურას დაეყრდნოს, რომელიც საერთო ან შეთანხმებულ იდენტობას ან შერეულ იდენტობებს, ეთნიკურ მიკუთვნებულობას, ტრაიბალიზმს, რელიგიურ ჩარჩოს, სამოქალაქო საზოგადოებას და ადამიანთა უფლებებს უკავშირდება. ის, აგრეთვე, შეიძლება კონკრეტულ საერთაშორისო სტრუქტურას დაეყრდნოს, ისეთს, როგორიც არის: ალიანსებისა და ხელშეკრულებების სისტემებით განმტკიცებული ძალთა ბალანსი, ან ინსტიტუციონალიზმსა და მმართველობაში გათვალისწინებული თანხმობა და ლეგიტიმურობა.

6- მშვიდობა, როგორც დეფინიციის (ჰეგემონიური) აქტი

მშვიდობის გააზრებისას განმეორებადი მოდელი, სპეციფიკური აქტორების მიერ მისი არსის განსაზღვრას უკავშირდება, რაც მშვიდობას, მოლაპარაკებებსა და ჰეგემონიაზე დამოკიდებულ, სუბიექტურ ან ინტერსუბიექტურ კონცეფციად წარმოადგენს. მშვიდობის კონცეფციაში ასეთი მოდელის პირველადი ფორმა არის საყოველთაოდ ცნობილი ,,გამარჯვებულის მშვიდობის“ ჩარჩო, რომელშიც, როგორც სუნ ცზი ამტკიცებდა, ,,მშვიდობა ომის ობიექტს წარმოადგენს, გამარჯვებულის პირობებით[22]“. არაერთი რეალისტი ამტკიცებს, რომ მშვიდობა, ბრძოლის ველზე, გადამწყვეტი საომარი დამარცხების შედეგად წარმოიქმნება და მშვიდობის ჩარჩოს ჩამოყალიბებისას, გამარჯვებულის როლზეა დამოკიდებული. კერძოდ, მის ინტერესებზე (და ხშირად თავის ხატად და მსგავსად იქმნება), თუმცა შესაძლოა, ლეგიტიმურობის მცირე დონით ხასიათდებოდეს[23]. ამ პირობებში მშვიდობა ხშირად მილიტარიზმთან, სამართლიან ომთან და პაცეფიზმთანაც კი ასოცირდება[24]. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითი შესაძლოა ,,ვერსალის შეთანხმება“ იყოს, რომელიც ამ საფუძველზე დაყრდნობით, ქეინსმა თავის, ირონიული სახელწოდების მქონე წიგნში ,,მშვიდობის ეკონომიკური შედეგები[25]“

---

[21] Jack S. Levy, “The Causes of War: A Review of Theories and Evidence”, in Philip E. Tetlock et al. (eds.), Behaviour, Society and Nuclear War (New York: Oxford University Press, 1989), p. 88.

[22] Sun Tzu, “The Use of Spies”, in The Art of War, ch. XIII (London: Penguin, 2003).

[23] John Mearsheimer, “The False Promise of International Institutions”, in International Security, Vol. 19, No. 3, 1994, pp. 5–26.

[24] Martin Ceadal, Thinking about Peace and War (Oxford: Oxford University Press, 1987), p. 4.

[25] სწორედ ეს შიში წარმოადგენდა ქეინსის მოსაზრებების საფუძველს ვერსალის შეთანხმების კრიტიკისას. განსაკუთრებით, ომში დამნაშავეთა ბრალსა (მუხლი 231) და გერმანიის მიერ

გააკრიტიკა. მშვიდობა ობიექტურად მხოლოდ მაშინ განისაზღვრება, როდესაც ,,ძალაუფლება“ (იგულისხმება სამხედრო ძალა ან ეკონომიკური გავლენა) გამოიყენება.

კონფლიქტისა და მშვიდობის არსის განსაზღვრა, ხშირად კონფლიქტზე რეაგირებისა და მშვიდობის დამყარების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ეს თავისთავად ჰეგემონიურ დისკურსიულ აქტს წარმოადგენს და მონაწილეობენ ის სახელმწიფოები, აქტორები, სააგენტოები ან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც განსაზღვრული ინტერესების სფერო აქვთ (მონობის გაუქმებით დაწყებული სახმელეთო ნაღმების აკრძალვით დამთავრებული). ისინი თავისი ღირებულებების ზღურბლიდან რეაგირებენ, რომლებიც თავის მხრივ, მათგან რეაგირების საჭიროების მქონე პრობლემას აღნიშნავს. აქ, მშვიდობის დეფინიცია მათ მიერ განსაზღვრულ მშვიდობას ემთხვევა. ისინი, მშვიდობის შექმნისა და რეკონსტრუქციისთვის, სხვებთან ერთად შემუშავებულ ან კოორდინირებულ პროცედურებს იყენებენ. ის შესაძლოა ამ აქტორების მფლობელობაში არსებული რესურსების შესაბამისად შეიცვალოს. ამრიგად, შეიძლება ხელი შეუწყოს მათი ინტერვენციის ზონებში, მშვიდობის იდეალურ ფორმასთან მიახლოებას, რაც კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებისას, ყოველთვის ხდება. ეს ჩვეულებრივ მოკავშირეებთან, სპონსორებსა და დონორებთან პირობით ურთიერთობებზე არის დამოკიდებული, ხოლო შემდეგ კი მშვიდობა იმ რეცეპიენტებთან (მიმღებებთან) გადაიხედება, რომელიც მათი ინტერვენციის ობიექტებს წარმოადგნენ. მშვიდობის განსაზღვრა და ობიექტურ-მიზეზობრივ ფაქტორებთან კავშირის გააზრება, გულისხმობს იმას, რომ მისი მწარმოებლისგან მომხმარებლისთვის გადაცემა, დამოკიდებულების გაჩენასა და პირობითობას ეფუძნება.

ახალი მშვიდობის მშენებლობა, სხვადასხვა სახელმწიფოში, საზოგადოებაში, საერთაშორისო ინსტიტუტსა თუ ორგანიზაციაში მოქმედი ბევრი აქტორის მიერ ,,იდეალური მშვიდობის“ შესახებ მოსაზრებების თანხვედრაზე სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული. აღნიშნული, თავის მხრივ, იდენტიფიკაციის ამ პროცესში, აქტორების დომინირების საკითხს წამოჭრის. დომინანტი ლიბერალური სახელმწიფოები, დონორები და მათ მიერ დაფინანსებული აქტორები ძირითად ბირთვს წარმოდგენენ (მაგალითად, აშშ და მსოფლიო ბანკი, შემდეგ მათ მოსდევთ ისეთი ინტერვენციული დონორები, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, კანადა და იაპონია და მათ მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები), აგრეთვე მნიშვნელოვანია გაეროს სამდივნო, გაეროს უსაფრთხოების საბჭოში მისი მრჩევლის როლით, გენერალური ასამბლეის წევრებიც, ისევე, როგორც ინტერნაციონალური სააგენტოები და არასამთავრობო ორგანიზაციები და, რა თქმა უნდა, მედია. ეს ნიშნავს, რომ ამ აქტორთა კონკრეტული მიკერძოება კონფლიქტის დეფინიციაზე გავლენას ახდენს. შესაბამისად, მშვიდობის წარმოდგენასა და კონსტრუირებაზე აისახება. ამავდროულად, კონფლიქტის შემადგენელი ნაწილების განსაზღვრის პროცესზე, გავლენას ახდენს მშვიდობის აღქმა, რომელთან მიმართებით კონფლიქტი იზომება.

ყველა ამ აქტორს თანდაყოლილი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მშვიდობა, მასში მოცემული, გათვალისწინებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, კონსტიტუციები, დღის წესრიგები, ქმედებისა და პოლიტიკის უფლებამოსილებები. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ, მსოფლიო ბანკმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა (DFID) და სხვა ისეთმა მსხვილმა

გადასახდელ რეპარაციებში. იხ: John Maynard Keynes, The Economic Consequences of the Peace (London: Macmillan, 1920), esp. chs. V–VII.

დონორებმა, როგორებიცაა: იაპონია, ნორვეგია და კანადა, კონფლიქტის რაობაზე და მშვიდობის დასამყარებლად აუცილებელი სტრატეგიების შესახებ საკუთარი ხედვა დააფიქსირეს. ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთი ხშირად ადამიანების უფლებებზე ფოკუსირდება, აშშ კი დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის რეფორმებზე, რაც მსოფლიო ბანკის საქმიანობაშიც ასახულია[26]. ბრიტანეთის სახელწმიფოს DFID-მა, გარკვეული კონფლიქტების იდენტიფიცირებისას, მათი პოლიტიზებისგან თავის არიდება[27] არაერთხელ სცადა. ბრიტანეთის მთავრობის მშვიდობის მშენებლობის მიდგომა აღიარებს იმ ფაქტს, რომ ჰუმანიტარული მუშაობა კონფლიქტის ზონებში, მათი სტაბილიზების მიზნით წარმოქმნის წვდომას. ამასთან, ის კონფლიქტის წყაროების, ადგილობრივი კონტექსტის, აგრეთვე მშვიდობისმყოფელთა პოტენციალისა და კოორდინირებული მოქმედებების სიღრმისეულ გაგებას[28] საჭიროებს. ამ კონტექსტით, DFID ძირითადად განვითარების საკითხებზე არის ორიენტირებული, მაშინ, როდესაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგ მმართველობასა და ადამიანის უფლებებზე გახლავთ ფოკუსირებული[29]. მსგავსად ამისა, იაპონია, ნორვეგია და კანადა ჰუმანიტარული უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხს ანიჭებს უპირატესობას.

კონფლიქტის მიზეზის დადგენის აქტი და მშვიდობის მშენებლობის შემდგომი ფორმა, ხშირად ლიბერალური მშვიდობის ზოგიერთ ასპექტთან ასოცირდება (რეგიონული ან სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, ადამიანის უსაფრთხოების წინააღმდეგ)[30]. შესაბამისად, კონფლიქტი, ლიბერალური მშვიდობის საწინააღმდეგოდ და გამომწვევად განისაზღვრება. აღნიშნული შემდეგ სურათზეა ილუსტრირებული, სადაც ლიბერალური მშვიდობა მეტ-ნაკლებად უნივერსალურ მდგომარეობად არის გამოსახული და კონფლიქტის ზონები ანომალიას წარმოადგენს. აქტორები კი, მათი ინტერესების სფეროებში წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირებას ახდენენ და, შიდა და შეთანხმებული დღის წესრიგების მიხედვით, საფრთხეებზე რეაგირებენ (იხ. სურათი 4).

---

[26] იხ. ,,მსოფლიო ბანკის“ კონფლიქტის პრევენციისა და რეკონსტრუქციის თავი: Conflict Analysis Framework (26 August 2003), p. 2.

[27] იხ: DFID, Conducting Conflict Assessment: Guidance Notes (January 2002).

[28] იხ: Simon Lawry-White, Review of the UK Government Approach to Peacebuilding, DFID Reports, EVSUM EC646 (London: DFID, September 2003).

[29] რაც ხაზგასმული იყო DFID-სა და FCO მიერ ჩატარებულ ინტერვიუთა სერიებში, რომლიდანაც გამოიკვეთა, რომ DFID ახალა აყალიბებს თავის სტრატეგიას მაშინ, როცა FCO-ს სპეციალისტებს აქვს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა თავის დრის წესრიგზე. იხ. პირადი ინტერვიუები DFID-სა და FCO-ს ოფიციალურ წარმომადგენლებთან, ლონდონი (12-13 იანვარი, 2004 წელი).

[30] იხ. Richmond, The Transformation of Peace, op. cit., chs. 2 and 5.



სურათი 4. ლიბერალური მშვიდობა და პასუხი კონფლიქტზე

სხვადასხვა დისციპლინაში, პოლიტიკურ ლიტერატურასა თუ აქტუალურ დებატებში მშვიდობის გააზრების და მრავალნაირი გაგების არაერთი ვერსია არსებობს. ბევრი მათგანი არეული, ცუდად განსაზღვრული და ურთიერთგადამფარავი მანერით გამოიყენება. ეს განსხვავებული დეფინიციები სხვადასხვა წყაროდან, მეთოდოლოგიიდან და დისციპლინიდან არის მიღებული. ამ მიზეზების გამო, საერთაშორისო აქტორების მიერ, კონფლიქტის და მშვიდობის განსაზღვრა ჰეგემონიურ აქტად შეიძლება შეფასდეს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევებში, როცა ისინი, ვინც მშვიდობის საერთაშორისო დღის წესრიგებს განსაზღვრავენ, კონფლიქტის გასაგებად, ლოკალური კონტექსტის ინკორპორირებას არ ახდენენ. აგრეთვე, განსაზღვრის აქტში, ადგილობრივ საზოგადოებას, პოლიტიკასა და ეკონომიკას არ ითვალისწინებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობის არსს, უმეტესად, ინტერვენციის აქტორები განსაზღვრავენ, კონფლიქტის დასარეგულირებლად, მისი რაობისა და გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ, შეჯიბრი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ეს საკითხი განხილულია მშვიდობის შემდეგ მოდელში.

7- მშვიდობა, როგორც კონსტრუქცია ,,ქვემოდან ზემოთ“ ან ,, ზემოდან ქვემოთ“

ხშირად მშვიდობის მეთოდოლოგიას განიხილავენ, როგორც ,,ქვემოდან ზემოთ“ ან ,,ზემოდან ქვემოთ“ საქმიანობის შედეგს. ამ მოდელის მიხედვით, კონფლიქტის ზონებში მცხოვრებმა ადგილობრივებმა ან თავად უნდა სცადონ მშვიდობის მიღწევა, ქვედა სტრუქტურებიდან მომდინარე აქტივობის მეშვეობით, ან მშვიდობა უნდა კონსტრუირდეს, ,,ზემოდან“, იმ გარე აქტორებისა და ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მშვიდობის და მისი მიღწევის შესაძლებლობის შესახებ საკუთარ ცოდნასა თუ წარმოდგენებს ადგილობრივებს თავს ახვევენ.

ხშირად ,,ზემოდან ქვემოთ“ მშვიდობის მშენებლობა დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრების, კანონის უზენაესობის და განვითარების აუცილებელი ინსტიტუტების მშენებლობაზე არის ფოკუსირებული. გარე აქტორებს მოლოდინი აქვთ, რომ ამ ყველაფრის ეფექტი მთლიან მოსახლეობამდე მიაღწევს. ეს ტერმინოლოგია სუ-ში, კონფლიქტისა და მშვიდობის კვლევებში, გაეროს სისტემების საქმიანობაში, ხშირად გამოიყენება. აღნიშნული მშვიდობის კონკრეტულ მეთოდოლოგიას უკავშირდება, რომელიც სახელმწიფოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაეროს, სააგენტოებსა და ამ დონეზე მომუშავე ინტიტუტებს მოიცავს. ორივე სტრუქტურის შემთხვევაში, მშვიდობა ობიექტური პირობაა, რომელიც ეყრდნობა ან მშვიდობის მაკონსტრუირებელი საერთაშორისო კონსენსუსის ღირებულებებს და ამ კონსენსუსიდან წარმოქმნილ მეთოდებს, ან მშვიდობის ლოკალურ თუ თანდაყოლილ პოტენციალს, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს საერთაშორისო აქტორების მხრიდან მხარდაჭერას.

მშვიდობის შესახებ ადრეულ დებატებში კი მშვიდობას ,,ზემოდან ქვემოთ“, ხშირად საერთაშორისო ხელშეკრულებებით და კონსტიტუციური შეთანხმებების საფუძველზე, მიღწევად განიხილავენ. ამის მაგალითს წარმოადგენს კემპ-დევიდის შეთანხმების საფუძველზე დარეგულირებული ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი; პარიზის მშვიდობიანი შეთანხმება, კერძოდ, გაეროს წვლილი კამბოჯას კრიზისის მოგვარებაში, ან რისი განხორციელებაც არაერთხელ სცადეს კვიპროსზე, 1965 წლიდან 2004 წლის ჩათვლით პერიოდში. მოცემული აზროვნების შედეგად, სახელმწიფოს მშენებლობის მიდგომები წარმოიქმნა, რომელიც სახელმწიფოსთვის გარსის შექმნას და მისი მეშვეობით მოსახლეობის მართვას ისახავს მიზნად. ახლახან, ამას ადგილობრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობის იდეა დაემატა, რომელიც კოსოვოსა და აღმოსავლეთ ტიმორის შემთხვევაში უგულვებელყოფილი იყო. მიუხედავად ამისა, იდეა მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, UNMIK-სა (გაეროს მისია კოსოვოში) და UNTAET (გაეროს გარდამავალი ადმინისტრაცია აღმოსავლეთ ტიმორში) კავშირებიდან მათი ექსკლუზიის (გამორიცხვის) გაპროტესტება დაიწყეს. მშვიდობა მიღწეულ უნდა იქნეს ,,ქვემოდან ზემოთ“, ისეთი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობით, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის და მკვიდრი ჯგუფების ხმას გააჟღერებს. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება საერთაშორისო მეურვეობის გარკვეულ დონესაც მოიცავდეს. ეს ყოველივე დამატებით დებატებს წარმოშობს, იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია მშვიდობას, საერთაშორისო ჰეგემონიური ამბიციების, ან ადგილობრივი პარტიკულარიზმის მოდელების, დაბალანსება. გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და მსოფლიო ბანკის მუშაობის ასპექტებმა, ასეთი დღის წესრიგის მიმართ ადაპტაცია მოახერხა, ადგილობრივ აქტორებთან ურთიერთთანამშრომლობის კუთხით[31]. განსაკუთრებით, მშვიდობის მშენებლობის წარუმატებელი მცდელობებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის რეაქციის შემდეგ, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: კამბოჯა, ბოსნია, კოსოვო და აღმოსავლეთ ტიმორი. ამავდროულად, არსებობს პარალელური შფოთი ადგილობრივი და მკვიდრი დონეების ,,რომანტიზაციის“ შესახებ. განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი კონკრეტული კონფლიქტის განუყოფელი ნაწილი შეიძლება იყვნენ. ამის შედეგად ჩნდება კითხვა: არის თუ არა მშვიდობის ადგილობრივი ფლობის რიტორიკა, ლოკალურ აქტორებთან საერთაშორისო კოოპტაციის რეპრეზენტაცია ან მარტივად რომ ვთქვათ, მეურვეობა.

[31] John Keane, Global Civil Society (Cambridge: Cambridge University Press, 2003), p. 2.



სურათი 5. მშვიდობა ქვემოდან ზემოთ ან ზემოდან ქვემოთ

მნიშვნელოვანი დებატები აქ ორივე მიდგომის ლეგიტიმურობას ეხება: გარე, ,,ზემოდან ქვემოთ" სტრატეგიებისადმი, საზოგადო სიფრთხილე ფიქსირდება, რომლის საფუძველზე შეიძლება უარი განაცხადონ თანხმობაზე ან გადადონ. აგრეთვე, ,,ზევიდან-ქვემოთ" მიდგომის საფუძველი, სამოქალაქო საზოგადოებისთვის თანდაყოლილი ,,მშვიდობის მოყვარეობა", გარკვეულ ვარაუდებს იწვევს. ზოგადად, მიჩნეულია, რომ ეს ყველაფერი, ინსტიტუციონალური მშენებლობის, აშკარა, საწყის წერტილად ყოფნის აღიარებით უნდა დაბალანსდეს, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი აქტორების პერსპექტივიდან. აგრეთვე, საჯაროდ აღიარებულად იქცა ის ფაქტიც, რომ თანხმობა უნდა მოდიოდეს როგორც სამოქალაქო საზოგადოებისგან, ისე კონკრეტულ სახელმწიფოსა თუ საზოგადოებაში ოფიციალური დისკურსისგან. აშკარაა, რომ არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია, რომელიც აღწერს ,,არასამოქალაქო" საზოგადოებების და თვითმმართველობის საერთაშორისო, არალიბერალური მოწინაღმდეგეთა პრობლემას. ამის მიუხედავად, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე, კონსენსუსი ორივე მოსაზრებას ეყრდნობა.

8- ლიბერალური მშვიდობის ჰიბრიდი და მშვიდობა, როგორც მართვა

წინა თავებში განხილული აზროვნების მოდელები მშვიდობის თანამედროვე და პრედომინანტური წარმოდგენის, ,,ლიბერალური მშვიდობის" ჩამოყალიბებას, მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს[32]. მშვიდობის შენებისა და კონფლიქტების გადაწყვეტის მიდგომებში ევოლუცია მოხდა, მშვიდობის ახალი ვერსია გაჩნდა, რომელიც გეოგრაფიულად შეზღუდული, ან რასის, იდენტობის და ძალაუფლების მიერ კონსტრუირებული, თუ უნივერსალური და მიუღწევლად მიჩნეული მშვიდობისაგან განსხვავდება. ლიბერალური მშვიდობის სახით, მშვიდობის განსაზღვრული ვერსია წარმოიქმნა, რომელიც უნივერსალური და სწორი მეთოდების რაციონალურად, შეთანხმებულად და სხვადასხვა სუბიექტის მიერ თანმიმდევრულად გამოყენების შემთხვევაში მიღწევადია. ის შეთანხმებული მშვიდობის მშენებლობის კონსენსუსის

[32] მაგ. იხ: Mark Duffield, Global Governance and the New Wars (London: Zed, 2001), p. 34; Paris, At War's End, op. cit., pp. 40–51.

საფუძველზე მუშაობს[33] და ფოკუსირებულია რეჟიმებზე, სტრუქტურებსა და ინსტიტუტებზე, რომლებიც ლიბერალური მმართველობის პრობლემური საკითხების, მრავალ დონეზე გასაანალიზებლად არის საჭირო. ეს მიმართულია ისეთი სახელმწიფოების რეპლიკაციაზე, სადაც გლობალიზაცია გამოვლილ და მრავალმხრივ გარემოში, დემოკრატიით, ადამიანის უფლებებით, კანონის და უფლებების უზენაესობით, თავისუფალი ბაზრით, განვითარებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებით ხასიათდება. ცივი ომის შემდეგ, სამშვიდობო ოპერაციების დროს[34], ეს მიდგომა გაეროს წევრ და არაწევრ ქვეყნებში აქტიურად გამოყენება.

ლიბერალური მშვიდობის ეს კონცეპტი არის ჰიბრიდი, რომელიც ზემოთ განხილული, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიდგომებიდან წარმოიქმნა[35] და მშვიდობაზე მსჯელობს ძირითად ხედვებს ასახავს. ის მოიცავს: *გამარჯვებულის* მშვიდობას, *კონსტიტუციურ* მშვიდობას, *ინსტიტუციურ* მშვიდობას და *სამოქალაქო* მშვიდობას[36]. აქ არსებობს ლიბერალური მშვიდობის ორივე ,,ჭირსა“ და ,,ლხინში“[37] ვერსია. ის აერთიანებს ,,ზემოდან ქვემოთ“ მიდგომებს, საუკუნოვანი გამარჯვებულის მშვიდობას, კონსტიტუციური მშვიდობის შესახებ განმანათლებლობასა და ქრისტიანულ შრომებს, აგრეთვე, XX საუკუნის სეკულარულ მცდელობებს (ამავდროულად, არასეკულარული შეფერილობის მქონეს, ძირითადად დასავლეთის კონტექსტში), რომელიც სტრუქტურულ, საერთაშორისო, საშინაო და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე, ინსტიტუციური მშვიდობის შექმნისკენ იყო მიმართული. მსგავსი ნორმატიული თეორიული ჩარჩოები სამოქალაქო მშვიდობის მოდელის განუყოფელი ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ ის უპირატესად სოციალური სამართლიანობის მიღწევისთვის ქვემოდან ზევით მიდგომაზეა ორიენტირებული. *გამარჯვებულის მშვიდობა* ეყრდნობა, ძლიერი და ჰეგემონიური აქტორის მიერ, დამყარებული მშვიდობის კონცეპტს. *კონსტიტუციური მშვიდობა* ეყრდნობა კანტის წარმოდგენას, მშვიდობის რესპუბლიკური სახელმწიფოების მეშვეობით დემოკრატიული მშვიდობის მიღწევის შესახებ. *ინსტიტუციური მშვიდობა* ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაცია და მისგან მომდინარე ინსტიტუტები სახელმწიფოების თანაარსებობისთვის, ხისტ სტრუქტურას უზრუნველყოფენ. *სამოქალაქო მშვიდობა* არსებობს იმ იდეით, რომ ომის დასრულებისა და მშვიდობის მშენებლობისათვის აქტიური სამოქალაქო საზოგადოება არის საჭირო. ლიბერალური მშვიდობის კონტექსტში, ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის აქცენტი დამოკიდებულია იმაზე, ამ განსხვავებული საფუძვლებიდან, პრიორიტეტს რომელს მივანიჭებთ. ამრიგად, გამარჯვებულის მშვიდობაზე აქცენტი ლიბერალური მშვიდობის ისეთ ,,კონსერვატორულ“ ვერსიამდე მიგვიყვანს, რომელიც უსაფრთხოებისა საკითხებსა და დებულებებს ეფუძნება. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ თანამედროვე ერაყის მშვიდობა. კონსტიტუციურ და ინსტიტუციურ საფუძვლებზე აქცენტი ლიბერალური მშვიდობის ,,ორთოდოქსულ“ ვერსიამდე მიგვიყვანს, რომლის მაგალითებია: აღმოსავლეთ ტიმორი, ბოსნია, კოსოვო და კამბოჯა. სამოქალაქო

---

[33] ამ კონცეპტით დაინტერესების შემთხვევაში, იხ: Richmond, "UN Peace Operations and the Dilemmas of the Peace- building Consensus", op. cit., pp. 83–101.

[34] დაინტერესების შემთხვევაში, იხილეთ პარისის Case Study.

[35] იხილეთ, ზემოთ, 1-4 ტიპები.

[36] დისციპლინაში არსებული, მშვიდობის ამ არამკრთალი ბოჭკოებით დაინტერესების შემთხვევაში იხ: Richmond, The Transformation of Peace, op. cit., esp. chs. 1 and 2.

[37] ავტორი იყენებს ინგლისურ იდიომატურ კონცეპტს- "thick" and "thin", რაც ქართულ ენაში ,,ჭირსა და ლხინში“ შესატყვისია, იგი მიზნად ისახავს იმ ფაქტის ხაზგასმას, რომ სირთულის მიუხედავად, კონცეპტი ყველა პირობებს მოიცავს *(მთარგმნელის შენიშვნა - ე.ბ).*

მშვიდობაზე ფოკუსი ლიბერალური მშვიდობის უფრო ,,ემანსიპატორულ“ ვერსიამდე მიგვიყვანს, რომლის რეალური მაგალითები არ გვაქვს, თუმცა ის მეორე ომის შემდგომ ლიბერალურ დემოკრატიებში შესაძლოა არსებობდეს[38].

ლიბერალური მშვიდობის ,,Thin” (იხ. განმარტება 37-ე სქოლიოში ე.ბ.- მთარგმნელის შენიშვნა) ,,ორთოდოქსულ“ ვერსიაში მშვიდობა საკმაოდ ზედაპირული ფენაა, რომელიც საერთაშორისო ნებაზე, კონსენსუსსა და ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობაზე არის დამოკიდებული. ის ახლა, აღმოსავლეთ ტიმორში, ბოსნიასა და კოსოვოში მიმდინარეობს. ლიბერალური მშვიდობის ,,Thick” (იხ. განმარტება 37-ე სქოლიოში ე.ბ.- მთარგმნელის შენიშვნა), კონსერვატორულ ვერსიაში, მშვიდობა შეიძლება თავზე მოხვეული იყოს. ის, შესაძლოა, ძალის უნილატერული (ცალმხრივი) გამოყენების შედეგად გაჩნდეს, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობისგან თანხმობის ნაკლებობა ფიქსირდება. ეს ავღანეთის და თანამედროვე ერაყის შემთხვევებში, აგრეთვე ბოსნია-ჰერცოგოვინასა და კოსოვოში, სამშვიდობო ოპერაციების ადრეულ პერიოდში მოხდა. ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის საკითხი, ადგილობრივი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო აგენტებსა და მკვიდრ მოსახლეობასთან თანხმდება. ამავე დროს, ადგილობრივი აქტორების მიერ უფლებამოსილების დაბრუნების საკითხი განისაზღვრება, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების (Decision-making) ძალაუფლება, სამომავლო პერსპექტივაში გადამწყვეტი ფაქტორია. მისი დაბრუნება მომავალში, ,,შესაძლებლობების განვითარების“ და პირობითობის კონკრეტული პრაქტიკების მეშვეობით არის ნავარაუდევი.

ეს თეორიული სისტემა, ლიბერალური მშვიდობის მიერ უზრუნველყოფილი ნორმატიული ჩარჩოს მიხედვით, კონფლიქტის ზონებში მმართველობის რეკონსტრუქციისთვის საფუძველს ჰქმნის. თანამედროვე *მშვიდობა, როგორც მმართველობა,* ეს მიდგომა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული რეგულაციების ყოვლისმომცველი თეორიული ჩარჩოების რეფორმირებასა და ლიბერალური მშვიდობის ზოგად თეორიულ ჩარჩოზე მომუშავე, შიდა და გარე, აქტორებზე არის დამოკიდებული. აღნიშნული ცივი ომის კონტექსტში, მშვიდობის მშენებლობის ინტერვენციების ფაქტების ზრდას ხსნის, აშშ-ს მიერ, კამბოჯაში, სახელმწიფოს მშენებლობისადმი გაუბედავი ნაბიჯებით დაწყებული, საერთაშორისო სუბიექტების მიერ ყოვლისმომცველი კონტროლით დასრულებული, როგორც ეს 1995 წლიდან ბოსნიაში, 1999 წლიდან კოსოვოში და 1999-2002 წლებში აღმოსავლეთ ტიმორში მოხდა. ადგილობრივი აქტორებისგან, ძირითადი პოლიტიკური და ადმინისტრაციული უფლებების მოკლე და საშუალო ხანგრძლივობით გადადება, მმართველობის ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია. ამ დროს, მმართველობას საერთაშორისო აქტორები ახორციელებენ. როგორც ჩენდლერმა კოსოვოზე საუბრისას აღნიშნა, საერთაშორისო აქტორების როლი ნიშნავს, იმას, რომ მიუხედავად იმისა, დემოკრატიზაცია ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის ძირითადი ნაწილია, ადგილობრივი აქტორები, გარდამავალ ეტაპზე, თვითმართველობის ძირეულ უფლებას კარგავენ.[39] პერისი ამტკიცებდა, ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის წინარე ეტაპი ხშირად ძალზედ არალიბერალურია.[40]

---

[38] Ibid., p. 217.

[39] David Chandler, From Kosovo to Kabul: Human Rights and International Intervention (London: Pluto, 2002), p. 194; see also Michael Ignatief, Empire Lite: Nation-building in Bosnia, Kosovo and Afghanistan (London: Vintage, 2003), p. 93.

[40] Paris, op. cit., p. 209.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკურ დისკურსებში ლიბერალური მშვიდობა თანამედროვე მშვიდობის ძირითადი კონცეფციაა (თუმცა უფრო მეტად ნაგულისხმევი და არა აშკარად აღიარებული), ხოლო მმართველობის რეფორმა თუ დამყარება კი, ლიბერალური მშვიდობის დაფუძნების, ძირითად მეთოდოლოგიას წარმოადგენს. ეს სტრუქტურა წინამდებარე კონცეფციებისა თუ აზროვნების მოდელების გაერთიანებულ ვერსიას წარმოადგენს. მისი აღქმა მშვიდობის მშენებლობის ინსტიტუციური მიდგომების ევოლუციაზე დაკვირვებით არის შესაძლებელი ვესტფალიის ზავიდან, გაეროს სისტემამდე და შემდგომ. ამრიგად, ის არის შემზღუდავი, მარეგულირებელი და პირობითი[41]. ამავდროულად, ის უახლოეს მომავალში, კონფლიქტის ზონებში დემოკრატიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობებისა და თავისუფლების დამყარებას გვპირდება. ამასთანავე, იგი ლიბერალურ საერთაშორისო საზოგადოებაში, ახლანდელ დროით პირობებში იწყება და მშენებლობის ინსტიტუციონალური და რეფორმების შინაგანი და გარეგანი პირობითი პროცესების გზით, „კონფლიქტის ზონებს“, მომავალ ლიბერალურ მშვიდობას ჰპირდება. ამრიგად, ლიბერალურ მშვიდობას, ამავდროულად, ჯვაროსნული თვისებებიც აქვს. ის მშვიდობის პოზიტიურ ეპისტემოლოგიას წარმოადგენს. კერძოდ, რწმენას, იმის შესახებ, რომ ის შესაძლოა იმ მშვიდობის მშენებლობის კონსენსუსის მეშვეობით იქნას მიღწეული, რომელიც ლიბერალური მშვიდობის პროექციაში ჩართულ ყველა ძირითად მონაწილეს მოიცავს. ის ჩვეულებრივი სტატუს-კვოს შენარჩუნების ნაცვლად, შესაძლოა სტრუქტურულ ძალადობას ეყრდნობოდეს[42]. აღნიშნული მე-6 და მე-7 სურათებში ჩანს, სადაც ლიბერალური მშვიდობის ძირითადი დინამიკა და მახასიათებლები არის წარმოდგენილი. აგრეთვე, პოსტ-კონფლიქტურ ზონებში მისი გადატანის შედეგები არის ილუსტრირებული.

[41] Ian Clark, The Post-Cold War Order (Oxford: Oxford University Press, 2001), p. 248.
[42] Rasmussen, op. cit., p. 112.



სურათი 6: ლიბერალური მშვიდობის გენეალოგია

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალურ მშვიდობაზე იშვიათად მსჯელობენ, ის სპეციფიკურ მეთოდოლოგიასა და ონტოლოგიას წარმოშობს. მისი ონტოლოგიის მიხედვით, თანაარსებობა მმართველობის განსაზღვრული პირობების მიღების შემთხვევაში არის შესაძლებელი. მეთოდოლოგია კი მშენებლობისთვის, მრავალი ტიპის ინტერვენციული აქტორის ჩართვას მოითხოვს სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივი თუ

არასახელმწიფოებრივი სუბიექტების სახით[43]. ეს გლობალურ მმართველობასა და რეჟიმებში, პირობების წაყენების სისტემის მეშვეობით, მმართველი ძირითადი ლიბერალური დონორი სახელმწიფოების მხრიდან (ისეთების როგორიც არიან: აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იაპონია, ძირითადი სკანდინავიური სახელმწიფო-დონორები და სხვა) პოლიტიკური, ეკონომიკური და განვითარების პროცესების შესახებ[44], ლიბერალურ მშვიდობაზე მუდმივ მოლაპარაკებებს გულისხმობს. დასახელებული სახელმწიფოები დონორი სახელმწიფოების როლში გვევლინებიან და არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, მრავალმხრივ უწყებებს, სამხედროებსა და კორპორაციებს, შესაბამისად, განათავსებენ[45].



სურათი 7: ლიბერალური მშვიდობა და მშვიდობის მშენებლობის კონსენსუსი

ლიბერალურ და არალიბერალურ მმართველობასა და მის რეფორმებთან ასოცირებული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეჟიმები მშვიდობის ახალ პირობებად, კონსენსუსად და ამ რეჟიმების[46] ირგვლივ გაჩენილი მშვიდობის მშენებელი აქტორების

[43] იხ: Duffield, op. cit., p. 34.
[44] Ibid., p. 34.
[45] 42. Ibid., p. 52
[46] ყურადღება მიაქციეთ თანამედროვე სამშვიდობო ლიტერატურას, რომელიც ორიენტირებულია ლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობაზე და რომელიც შემოთავაზებული სამშვიდობო კომისიის შექმნის შემთხვევაში შეიძლება ოფიციალურად იქცეს. იხილეთ გენერალური მდივნის ანგარიში საფრთხეების, გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ, A/59/565 (2 დეკემბერი 2004 წ.), გვ. 261–269.

ეპისტემურ ერთობად[47] იქცნენ. ხშირად მიიჩნევა, რომ ეს კონსენსუსი გადამწყვეტი და უნივერსალურია, რაც სიმართლეს ნაკლებად შეესაბამება.
მშვიდობის ინსტიტუციური ცნება, სახელმწიფოს მიღმა არსებული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების რაციონალისტური გაგების საფუძველზე ივარაუდება. ის, მრავალმხრივად შეთანხმებულ ჩარჩოებში, მათი როლების ურთიერთშეზღუდვის საფუძველზე მოქმედებს. ამასთანავე, სახელმწიფოებსა და ინსტიტუტებს შორის, პირობითი ურთიერთობის საფუძველზე, ლიბერალური რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას აძლიერებს. მმართველობის რეფორმა, კონფლიქტის წარმომშობი, წარუმატებლობების პასუხად აღიქმება, ხოლო მმართველობის რეფორმირებისთვის აუცილებელი მრავალმხრივი პროცესები, მშვიდობის მისაღწევ მეთოდოლოგიას უზრუნველყოფს. ვარაუდობენ, რომ ეს მდგრად მშვიდობას გამოიწვევს. აქ, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ის ფაქტი, რომ მშვიდობა საერთაშორისო რეგულირებისა და მონიტორინგის გზით ნარჩუნდება, და არა, მისი ლოკალური და თანდაყოლილი მახასიათებლების გამო. ამრიგად, ლიბერალური მშვიდობა, იდეალურ ვარიანტში, თუმცა არა აუცილებლად, ლოკალურად თვითმდგრადია. საერთაშორისო მხარდაჭერისა და კონტროლის მეშვეობით კი, ის, შეიძლება გადარჩეს.

მმართველობის შესახებ ბევრი თეორია არსებობს, მაშინ, როცა მშვიდობას, კონფლიქტის მიზეზების ანალიზსა და მათზე მყისიერი რეაგირების საჭიროებას, მეორეხარისხოვან საკითხებად მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, მმართველობის განმარტება, მისი მეთოდები და ჩარჩოები სადაოა. ამასთან, ძირითადი მახასიათებლები, შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: მრავალი პრობლემური საკითხისა და სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური რესურსების რეგულირება და კოორდინაცია, მმართველობის მრავალი წარმომადგენლის, ორგანიზაციების, კერძო და საჯარო აქტორების მიერ, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ხელშეკრულებების საფუძველზე. ყველა ეს აქტორი, კონკრეტული პოლიტიკური შედეგის მისაღებად,[48] მმართველობითი პროცედურების მრავალი ფენისა და ჩარჩოების გამოყენებას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონტექსტში, მმართველობა სასარგებლო კონცეფციაა, ის დეფინიციების ტირანიის წყაროდ არაერთხელ ქცეულა რეგიონული და ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის, გაეროს პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მეშვეობით.[49] მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ყველა ეს აქტორი საყოველთაოდ მიჩნეული საკითხების გადაწყვეტაში იღებს მონაწილეობას. მმართველობის ეს გაგება ნორმატიულ ელემენტს შეიცავს. ამის მიხედვით პრობლემის გადაწყვეტა ისეთი ჩარჩოების ჩამოყალიბებით ხდება, რომლებიც მმართველობის ძირითადი აგენტების ნორმებსა და ღირებულებებს ასახავს. ეს აგენტები ძირითად ლიბერალურ სახელმწიფოებს და დონორებს, გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებული შტატებს, IFI-ებს, საერთაშორისო

---

[47] ამ გაგებით, ადვოკატირების მოძრაობები, ეპისტემური საზოგადოებები, არასახელმწიფო აქტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სააგენტოები არიან ის სუბიექტები, რასაც უოლესი და ჯოსელინი უწოდებდნენ „ნორმულ მეწარმეებს“. ისინი პრივილეგიას ანიჭებენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს და განვითარების ფორმებს, როგორც მიკრო დონის ინტერვენციებში, ასევე მათ დისკურსს საერთაშორისო ურთიერთობებში. იხ: Daphne Josselin and William Wallace (eds.), Non-state Actors in World Politics (London: Palgrave, 2001), p. 253.
[48] ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში, მმართველობის გასააზრებლად იხ: Mark Webber, Stuart Croft, J. Hobworth, Terry Terrif and Elke Krahmann, “The Governance of European Security”, Review of International Studies, Vol. 30, No. 1 (2004), p. 4.
[49] Ibid., p. 4

სააგენტოებს და გაეროს სისტემას მოიცავს. ამგვარად, მმართველობა, მეთოდებისა და მიზნების, როგორც ობიექტურ, ისე ინტერსუბიექტურ გაგებაზე[50] არის დამოკიდებული. ეს ამავდროულად ნიშნავს შემდეგს: მმართველობა არ შეიძლება მხოლოდ კონფლიქტის ზონის გარეთ მომუშავე, კონფლიქტის რეგულირებისა და კოორდინაციის საჭიროების მქონე, ოფიციალური აქტორების მიერ იყოს ინიცირებული. მიუხედავად იმისა, რომ ის „ზემოდან ქვემოთ“ პროცესია, აგრეთვე ,,ქვემოდან ზემოთ“ სტრუქტურით უნდა აიგოს, ასევე მმართველობაში მონაწილეობა ადგილობრივმა, საკუთარი სამშვიდობო პროცესების მფლობელმა აქტორებმა უნდა მიიღონ. სწორედ ამიტომ, ბოლო დროს, ძირითადი დონორები და საერთაშორისო მშვიდობის მაშენებელი საზოგადოება, აქცენტს კონფლიქტის ზონებში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობასა და რეგულირებაზე სვამს. ანალოგიურად, ინტერვენციისას, სუვერენიტეტის საზღვრებს გარეთ მყოფი, არასახელმწიფო აქტორების მნიშვნელობის სწრაფი ცვლილებაც მიმდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართული ფენის წარმომადგენლებმა, მმართველობის ეს გარე ჩარჩოები კოლონიალიზმის რბილ ფორმად შეიძლება აღიქვან, ხოლო ამ პროცესებზე პასუხისმგებელმა პირებმა კი გააცნობიერონ, რომ კონფლიქტის ზონებში, ისინი ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობისა და ლეგიტიმაციის გარეშე ოპერირებენ[51].

უსაფრთხოების კონტექსტში კოჰენის მიხედვით, მმართველობა ჩვეულებრივ, წესრიგის მიღწევით, კოლექტიური უსაფრთხოების, წესრიგისა და მიზნების, მათი წევრების ქცევისა და ურთიერთობების მარეგულირებელი ინსტიტუტების ერთობლიობის მეშვეობით არის გააზრებული. ეს გარკვეულწილად, საკვალიფიკაციო მახასიათებლების დამტკიცებით მიიღწევა[52]. მმართველობის აგენტებსა და კონფლიქტური ზონების აქტორებს შორის, პირობითი ურთიერთობა, რეფორმის პროცესების გაგრძელების ძირითად ნაწილად იქცევა ხოლმე, რაც თავისთავად, პრობლემას წარმოქმნის.[53] ის ნორმებსა და შესაძლებლობებს შორის უფსკრულის გაჩენის შედეგად ჩნდება. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იქ, სადაც ნორმები, დისკურსები, იდეები და პრაქტიკა ერთმანეთისგან აშკარად დაშორებულია. მსგავსი ინტერსუბიექტური პრობლემების გადასაწყვეტად, მსოფლიოში, სადაც აქტორებს „ძალაუფლების“, „ჰეგემონიის“ და „ნორმების“ მქონედ აღწერენ და რომლებსაც საერთაშორისო სისტემასა თუ საერთაშორისო საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, გავრცელებულია მსჯელობა, რომ „იდეებს აქვს მნიშვნელობა“. ამავდროულად, ისინი, სისტემაში მნიშვნელოვან და გავლენიან აქტორებს შორის ცვალებადი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტით[54] არის შეზღუდული.

---

[50] James Rosenau, “Governance, Order and Change in World Politics”, in James Rosenau and Ernst-Otto Czempiel (eds.), Governance without Government (Cambridge: Cambridge University Press, 1992), p. 7.

[51] იხ: წინასიტყვაობა Francois Debrix and Cynthia Weber (eds.), Rituals of Mediation (Minneapolis: University of Minnesota Press, 2003), p. xv; Michael Dillon, “Culture, Governance, and Global Biopolitics”, in ibid., p. 135; Ronnie D. Lipschutz, “The Clash of Governmentalities: The Fall of the UN Republic and America’s Reach for Imperium”, Exploring Imperium, University of Sussex (11 December 2002). ხოლო მართველობს ფუკოს მოდელისთვის, იხ: Michel Foucault, “Governmentality”, in Graham Burchell, Colin Gordon and Peter Miller (eds.), The Foucault Effect: Studies in Governmentality (Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf, 1991), p. 103.

[52] რაც ხაზგასმულია რობერტ კოჰენის ცნობილ სტატიაში. იხ: “International Institutions: Two Approaches”, International Studies Quarterly, Vol. 32, No. 4 (1988), p. 384.

[53] Ibid., pp. 379–396.

[54]კერძოდ, იხ: Alexander Wendt, Social Theory of Politics (Cambridge: Cambridge University Press, 2000); Thomas Rise-Kappen, “Ideas Do Not Float Freely”, International Organisation, Vol. 48, No. 2 (1994), pp. 185–214.

მშვიდობა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც მრავალი განსხვავებული ფორმით ვლინდებოდა. ამ იდეებს შორის, მმართველობა ერთ-ერთი უახლესი ფორმაა. აღიარებას საჭიროებს ის ფაქტი, რომ მშვიდობის სპეციფიკური ფორმის შესაქმნელად, გამოყენებული მეთოდების ძირითადი მოტივაცია, საფრთხეების ტიპზე არის დამოკიდებული. საფრთხის იდენტიფიცირება, საერთაშორისო სისტემაში, ჰეგემონიური მნიშვნელობის მქონე აქტორების მიერ ხორციელდება. ეს საფრთხეები უკავშირდება ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: კონფლიქტი, ტერორიზმი, განუვითარებლობა, სიღარიბე, დაავადებები, გეოგრაფია, საზღვრები, იდენტობა და ადამიანის უფლებები[55].

მშვიდობის გაგების ეს ძირითადი ხერხები გალტუნგის ცნობილ ნეგატიურ/პოზიტიურ ჩარჩოთი არის გაგებული[56]. ჩარჩო იმეორებს და ადასტურებს ყველა ბინარულ სქემას, რომელსაც ზემოაღნიშნული განსხვავებები ემყარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასარგებლო ტიპოლოგიაა, ის, მშვიდობის მარტივ ორობით კონსტრუქციაზე დამოკიდებულების გამო, მშვიდობის სირთულის შენიღბვის ტენდენციითაც ხასიათდება. გალტუნგის პოზიტიური/ნეგატიური მშვიდობის შემოთავაზება რეალურად მიუთითებს იმაზე, რომ მშვიდობა შეიძლება განიმარტოს, როგორც იძულებითი წესრიგი, სტრუქტურული ძალადობა ან ტერორი, კონსენსუსი და ჰარმონია, ვაჭრობა, დემოკრატია ან ადამიანის უფლებები[57]. ის აგრეთვე, შეიძლება განიმარტოს, როგორც ჯვაროსნული[58] და ყოვლისმომცველი უნივერსალიზმი ან პრაგმატული პირადი ინტერესი.

მშვიდობის გაგებისა და კონსტრუირების ამ მიდგომებში გადამწყვეტი მნიშვნელობა იდენტობას ენიჭება. ეს შეიძლება იყოს, კლასიკური თვალსაზრისით, ერთი ჯგუფის, რასობრივი ან ეთნიკური, უპირატესობა მეორეზე, ან მათი შეთანხმება თანასწორობასა და რესურსების გადანაწილებასა თუ წარმომადგენლობაზე. ის შეიძლება მონო ან მრავალეთნიკური სუვერენული სახელმწიფოების სისტემის მეშვეობით აშენდეს. იდენტობები შეიძლება გავიგოთ: ეთნიესთან, კულტურასთან ან რელიგიასთან, სახელმწიფოსთან, რეგიონთან ან კოსმოპოლიტურ ან ინტერნაციონალურ იდეალთან დაკავშირებულად და ა.შ.[59]. უფრო მეტიც, მშვიდობაზე მსჯელობის არაერთი მიდგომა,

---

[55] რა თქმა უნდა, „საფრთხის შეფასება“ და საფრთხეების იდენტიფიცირება, მეტწილად, აღმქმელის პრიორიტეტებზე არის დამოკიდებული. ტერორის წინააღმდეგ ომი, რომელსაც მთელს მსოფლიოში ორი რეალური ომი და მრავალი შეტაკება მოჰყვა, სხვა საფრთხეებს მნიშვნელოვნად აღემატება მანამ, სანამ საფრთხე აშშ-ს იდეოლოგიურ, სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას დაემუქრება. სამწუხაროდ, კლიშედ იქცა იმის აღნიშვნა, რომ ყოველდღიურად უფრო მეტი ადამიანი იღუპება ადვილად პრევენციული დაავადებებისგან, ვიდრე სხვა საფრთხეებისგან. თუმცა ამ მიმართულებით რესურსები არ არის მობილიზებული, ვინაიდან დაავადებების სახით, ძლიერ სახელმწიფოებს მცირე სტრატეგიული საფრთხე ემუქრება. მსგავს კლიშეს წარმოადგენს შეიარაღებასა და მშვიდობის მშენებლობაზე გაწეული ინვესტიციების შეუსაბამობა.

[56] Johan Galtung, Peace by Peaceful Means, Peace and Conflict, Development and Civilization (London: Sage, 1996), p. viii.

[57] იხ: Johan Galtung, “A Structural Theory of Imperialism”, Journal of Peace Research, Vol. 8 (1971), pp. 81–117; Hugh Miall, Oliver Ramsbotham and Tom Woodhouse, Contemporary Conflict Resolution (Cambridge: Polity Press, 1999), p. 15.

[58] ავტორი იყენებს ტერმინ - Crusading-ს, რომლის ქართულენოვანი შესატყვისია - ,,ჯვაროსნული“- ამ კონტექსტში, რიჩმონდი გულისხმობს ვისიმე ან რისამე დასაცავად ან საწინაღმდეგოდ კამპანიის წარმოებას *(ე.ბ.- მთარგმნელის შენიშვნა).*

[59] იხ: ბენედიქტ ანდერსონის საყოველთაოდ ცნობილი არგუმენტები: Benedict Anderson, Imagined Communities: Reflections of the Origins and Spread of Nationalism (Ithaca, NY: Cornell University Press, 1991).

ამავდროულად იდენტობის გაგებას აყალიბებს, რომლის მიხედვით იდენტობა მოსახლეობისა და გეოგრაფიის მიერ არის დაფიქსირებული, ან სუვერენიტეტის დებატების ფარგლებში აიგება, მერყევი და ცვალებადია. კერძოდ, ის ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების მოთხოვნილებების ან სურვილების შესაბამისად იცვლება[60]. შესაბამისად, ლიბერალური მშვიდობის კონსტრუქტივისტული აღქმა, განსაკუთრებით მისი დემოკრატიული სტრუქტურის შეფასებისას, ამ მშვიდობას დაქვემდებარებულ, სახელმწიფოებს შორის კოლექტიური იდენტობის განცდის ხაზგასმის ტენდენციით ხასიათდება[61]. ამ თვალსაზრისით, როგორც კემპბელი და უოკერი ამტკიცებენ, კოლექტიური იდენტობა მოწინააღმდეგის არსებობაზე მიუთითებს[62]. ამრიგად, ლიბერალური მშვიდობა არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სხვა, განსხვავებული იდენტობის მქონე სუბიექტი, რომელიც, რაც მთავარია, იმავე მშვიდობას არ ექვემდებარება (ან კოლექტიური იდენტობის აღქმით, ალტერნატიულ, საომარ მდგომარეობაში იმყოფება). იდენტობა, მისი გარდამავალი და მრავალმხრივი ბუნებით, განსაკუთრებით მისი ლიბერალური მშვიდობის ფორმით, მშვიდობის გააზრების შესახებ დებატების საფუძველს წარმოადგენს. ლიბერალური სამშვიდობო მოდელის ფარგლებში, იდენტობის ინტერსუბიექტური ბუნება, გარდაუვალად შეზღუდულია. მაგალითად, ინდივიდუალიზმი მისაღებია იმ პირობით, თუ პარტიკულარიზმი, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ქცევიდან გამოირიცხება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც ცივი ომის შემდეგ ლიბერალურ მშვიდობაზე იყო ორიენტირებული, იდენტობის საკითხებმა, საბჭოთა კავშირი და მისი პოლიტიკური იდეოლოგია, როგორც მთავარი საფრთხე (ეკოლოგიური კატასტროფის შემდეგ) ჩაანაცვლა.

იდენტობის, როგორც ლიბერალური მშვიდობისთვის კილიტას როლი, ბოლო დროს ნაწილობრივ ჩანაცვლდა ისეთი საკითხებით, როგორებიცაა: მოდერნიზაციის, იგივე განვითარების პრობლემები, გარემოსდაცვითი საფრთხეები და ბოლო დროის ტერორიზმი. განვითარების პრობლემები და მათი კავშირი ეკონომიკურ დეპრივაციასთან, ვაშინგტონისა და პოსტ-ვაშინგტონის კონსენსუსის ლეგიტიმაციისა და გასაჩივრების მიზნით იქნა გამოყენებული, რომელიც რესურსების მიწოდებას აფასებდა პირობით პროცესად. აღნიშნული ლიბერალურ მშვიდობასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, არამხოლოდ ეკონომიკურ სფეროში, არამედ მშვიდობასთან დაკავშირებული მმართველობის ფორმების მიღებას გულისხმობდა[63]. გარკვეულწილად, გარემოსდაცვითი პრობლემები მსგავს მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ნაკლებად თანხმდებიან იმ ფაქტზე, რომ გარემოს დაცვა ლიბერალური მშვიდობის კონკრეტული კომპონენტია. საგულისხმოა, რომ ტერორიზმი, ამ დებატების მნიშვნელოვან ასპექტად

---

[60]იხ: David Campbell, Writing Security (Manchester: Manchester University Press, 1992), p. 72; Thomas Hylland Erikson, Ethnicity and Nationalism (London: Pluto Press, 1993), p. 124

[61] კერძოდ, იხ: homas Risse-Kappen, "Collective Identity in a Democratic Community", in Peter Katzenstein (ed.), The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics (New York: Columbia University Press), pp. 357–399.

[62] იხ: Walker, op. cit.; Campbell, Writing Security, op. Cit.

[63] მაგალითად: John Williamson, "What Should the Bank Think about the Washington Consensus?", Paper prepared as a background to the World Bank's World Development Report 2000 (1999), available: www.worldbank.org/research/journals/wbro/obsaug00/pdf/(6)Williamson.pdf; J. Stiglitz, More Instruments and Broader Goals: Moving towards the post Washington Consensus (Helsinki: UN Univer-
sity, 1998).

გვევლინება, ვინაიდან პრევენციული ზომები, ცხოვრების ყველა სფეროში, ლიბერალური სამშვიდობო პაკეტის პირობითობის ნაწილად იქცა[64].

ტერორიზმის ორთოდოქსული დისკურსები[65] (და არაერთი სახელმწიფოს მიერ გამოიყენება) ლიბერალური მშვიდობის ღირებულების მოწონებასა და მისი გავრცელებისთვის მხარდაჭერის მობილიზების მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამასთან, როგორც ეს ბოლოდროინდელ შემთხვევებში გამოჩნდა, ძირითადად აშშ-ს ავღანეთსა და ერაყში ინტერვენციების დროს, ის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი.
თავის ყველაზე რთული ფორმითაც კი, ზემოთ განხილული შემთხვევების მაგალითზე, ლიბერალური მშვიდობა მოწმდება, პრაქტიკაში გამოიცდება, თუნდაც „მშვიდობის როგორც მმართველობის“ ევოლუციის თვალსაზრისით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ყველაზე საბაზისო დონეზე, მშვიდობა გაგებულ უნდა იქნას ინტერსუბიექტურ კონცეფციად, რომელიც მრავალი აგენტის მიერ მისი აღქმისა და ასაშენებლად საჭირო ქმედებების რეფლექსიაა. ონტოლოგიურ დონეზე, ამ კონცეფციის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს: გვხვდება, როგორც უტოპიური მოაზროვნეების მოწოდებები სამართლიანობისა და ჰარმონიისკენ, ისე კრიტიკულ პოზიციები ლიბერალური მშვიდობის მიმღებთაგან, რომლებიც მისგან წარმოქმნილ ჰეგემონიას, ნეოკოლონიალიზმსა და მმართველობის მრავალჯერად ნორმებს აკრიტიკებენ[66]. გავრცელებული არგუმენტია ის, რომ საგანთა არსებული მდგომარეობა, რაც არ უნდა არასრულყოფილი იყოს, პრაქტიკულ მშვიდობას წარმოადგენს. ცხადია, რომ გამარჯვებულის მშვიდობა და მასთან დაკავშირებული მილიტარიზმი ლიბერალური მშვიდობის ძირითად ასპექტად რჩება, მაშინაც კი, როდესაც ამტკიცებენ, რომ მას განმანთავისუფლებელი ხასიათი აქვს. გარდა ამისა, ლიბერალური მშვიდობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სხვებმა, კონფლიქტში ყოფნისას, რა იციან და როგორ შეუძლიათ მშვიდობის დამყარება, თუნდაც ეს იყოს ძალის გამოყენების საჭიროების შემთხვევები. ისინი მშვიდობის ამ ვერსიას კონსერვატიული, ლიბერალური, მარეგულირებელი და გამანაწილებელი ტენდენციების ნაზავის მიხედვით ქმნიან. აღნიშნული ემყარება მშვიდობის სპეციფიკურ ონტოლოგიას, მეთოდოლოგიას, მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს, რომელსაც შესაბამისი გამოცდილების მქონე ეპისტემური თემები, ორგანიზაციები, კოალიციები, სახელმწიფოები და ინსტიტუტები იყენებენ. ისინი, თავის მხრივ, მათ შორის პირობით ურთიერთობაში მონაწილეობენ და იმ ადგილებში ოპერირებენ, სადაც ლიბერალური მშვიდობა შენდება. მშვიდობის გააზრების შესახებ დებატების სხვადასხვა მიმართულებიდან, თანამედროვე მშვიდობისადმი, რამდენიმე ნაგულისხმევი მოთხოვნა გამომდინარეობს. ლიბერალური მშვიდობა ყველა აქტორისთვის, მრავალ დონეზე უნდა იყოს **წარმომადგენლობითი**, მოიცავდეს საჯარო და კერძო, გენდერულ და ასაკოვანს, აგრეთვე მრავალნაირ იდენტობას.

მისი იდენტობა, ყოფიერების სხვა მდგომარეობების საპირისპიროდ, მკაფიოდ განსაზღვრული და ადვილად გასაგები უნდა იყოს, ამასთანავე, მისი საზღვრები, წესები, უფლებები, თავისუფლებები და ნორმები, საზოგადოდ, უნდა იყოს აღიარებული, ასევე, ლეგიტიმური და ფორმალიზებული სამთავრობო, ინსტიტუციური თუ კონსტიტუციური სტრუქტურებსა და სამართლებრივი ჩარჩოების მიერ. მან უნდა წარმოადგინოს, მოაწესრიგოს, გაათავისუფლოს და შეზღუდოს სამოქალაქო საზოგადოება. ის უნდა იყოს

---

[64] Paul Wilkinson, Terrorism versus Democracy (London: Frank Cass, 2001), p. 10.

[65] იხ: Jason Franks, Rethinking the Roots of Terrorism (London: Palgrave, 2006).

[66] უტოპიურ, იდეალისტ და რეალისტ მოაზროვნეებზე სამსჯელოდ, იხ: Oliver P. Richmond, Peace in International Relations Theory (London: Routledge, forthcoming 2007).

გარედან მდგრადი და შინაგანად თვითმდგრადი, დასაცავი და საკმარისი იმისათვის, რომ მის დასაცავად მობილიზაცია დაიწყოს. და ბოლოს, მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსები, მისი ამომრჩევლებისა და საერთაშორისო აქტორების მიერ, მასზე დაკისრებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

9- მშვიდობა, როგორც ემანსიპაცია

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მშვიდობა ემანსიპაციას ეხება, კერძოდ, ინდივიდის გათავისუფლებას. მაგალითად, ჰერმან შმიდი ადრეულ სტატიაში ამტკიცებდა, რომ მშვიდობის კვლევამ „უნდა ჩამოაყალიბოს თავის პრობლემები, არა საერთაშორისო და ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანი ტერმინების მეშვეობით, არამედ იმ ტერმინებით, რომელიც დათრგუნული და ექსპლუატირებული ჯგუფებისა და ერებისთვის არის მნიშვნელოვანი.[67]

მშვიდობის კონცეფციების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ისინი ლეგიტიმურია, ვინაიდან გათავისუფლება მოაქვთ. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ მშვიდობის მოდელები, ზემოთ განხილული ფორმებიდან, ნებისმიერი, მშვიდობის მშენებლობისას, გარკვეული მეთოდების, ინსტრუმენტების და თეორიული ჩარჩოების გამოყენებისას, მათი სპონსორების პოლიტიზირებულ და ანგარებიან ინტერესებს ხშირად ნიღბავს ან აკანონებს. თუკი ვამტკიცებთ, რომ მშვიდობა ინტერსუბიექტური და რეფლექსური კონცეფციაა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ის იდეოლოგიური და ფუნქციური მანიპულაციებისთვისაც არის ღია. სხვა სიტყვებით, მშვიდობა შესაძლოა, კონკრეტული სტრატეგიებისა და მიზნებისთვის, სამოტივაციო და ლეგიტიმაციურ იარაღად იქნას გამოყენებული. მართლაც, სრულად შესაძლებელია, რომ მშვიდობის დომინანტური ფორმები ჰეგემონი აქტორების მეთოდებსა და მიზნებს წარმოადგენდნენ.[68]

კრიტიკული აზროვნების ეს ტიპი, მოცემულ ესეში, მშვიდობის საბოლოო მოდელია, რომელიც სხვადასხვა ემანსიპატორულ მოთხოვნასთან და დისკურსთან დაკავშირებულ[69] მშვიდობის რეფლექსურ ვერსიას წარმოადგენს. ის აზროვნების სხვადასხვა მიმართულებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, კოსმოპოლიტური და კომუნიტარული დებატები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს პარტიკულარიზმთან და უნივერსალიზმთან დაკავშირებულ[70] კულტურულ პრობლემებს, ნორმებსა და ეთიკას. კონსტრუქტივიზმი ამტკიცებს, რომ იდენტობას საერთაშორისო ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ის მიეწერება სახელმწიფოს, რომელსაც სურვილის შემთხვევაში, ანარქიის უფრო ფართო მშვიდობად გადაქცევის ძალა შესწევს. მშვიდობის განმანთავისუფლებელი ხასიათის მიუხედავად, ანარქიისგან განსხვავებით, ის სახელმწიფოების ღირებულებებსა და ინტერესებზე გარდაუვლად არის დამოკიდებული[71]. საერთაშორისო ურთიერთობების, კრიტიკულ და პოსტსტრუქტურალისტურ მიდგომებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა დიალოგურ

---

[67] Herman Schmid, "Peace Research and Politics", Journal of Peace Research, Vol. 5, No. 3 (1968), p. 219.
[68] Vivienne Jabri, Discourses on Violence (Manchester: Manchester University Press, 1996), p. 149.
[69] Ibid., pp. 145–167.
[70] Richard Shapcott, "Cosmopolitan Conversations", Global Society, Vol. 16, No. 3 (2002), p. 222.
[71] Alexander Wendt, "Anarchy is What States Make of It: The Social Construction of Power Politics", International Organisation, Vol. 46, No. 3 (1992), pp. 391–425. See also Alexander Wendt, Social Theory of Politics (Cambridge: Cambridge University Press, 2000).

ეთიკას, როგორც კულტურასთან ურთიერთობის მეთოდს. იგი კულტურული რელატივიზმის უკიდურესობის თავიდან აცილებას შესაძლებელს ხდის[72]. ამ თვალსაზრისით, მშვიდობა, სუბალტერნის ემანსიპაციას ისახავს მიზნად: მჩაგვრელი სტრუქტურებისაგან, სახელმწიფოსგან, სამხედრო თუ სოციალური, ეკონომიკური თუ კლასობრივი სტრუქტურებისგან. ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ მშვიდობის დისკურსიულ პრაქტიკაზე, რომელშიც ჰეგემონია, ბატონობა და ჩაგვრა აღმოიფხვრება.

კრიტიკულმა ლიტერატურამ ამ დებატების უკიდურესობებზე მოლაპარაკება მოახერხა. მაგალითად, ჯაბრი, ჰაბერმასის დიალოგურ ურთიერთობებზე დაყრდნობით, ფოკუსირებულია მშვიდობის ისეთ ტიპზე, რომლის მიღწევა კომუნიკაციური მოქმედებით იქნება შესაძლებელი. აქ ძირითადი მიზანია იმის აღიარება, რომ კონფლიქტისა და მშვიდობის შესახებ ნებისმიერი დისკურსი, მშვიდობისა და კონფლიქტის შესახებ კონკრეტული დიალოგების, მონაწილე პირების მისწრაფებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იქმნება. მშვიდობის ემანსიპატორული ვერსიის მისაღწევად, დიალოგური ურთიერთობები, კომუნიკაციის პროცესში, ყველა აქტორის, ღიად გაცხადებულ, მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს უნდა ეყრდნობოდეს. ეს კი დომინაციის დახვეწილი და კარგად შენიღბული ფორმების ნაცვლად, ათავისუფლებს, უზრუნველყოფს და წარმოშობს აგენტობას.

თანამედროვეობის წარუმატებელ მარქსისტულ პროექტებთან მსგავსების მიუხედავად, ემანსიპაციის საკითხი კრიტიკული პროექტის მთავარ ნაწილად იქცა. მაგალითად, უსაფრთხოების კრიტიკული კვლევები ემანსიპაციას, ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების გათავისუფლების გზით, უსაფრთხოების გაჩენად განიხილავს, რომელსაც შემდეგ მშვიდობის ფორმა მოსდევს[73]. ეს გასაგები იქნებოდა იდეალისტებისა და ბევრი ლიბერალური მოაზროვნისთვის, თუმცა ონტოლოგიური თუ ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად თვალსაჩინოა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. როგორც ბუტი ამტკიცებს. განსაკუთრებით, იმ მხრივ, რომ ის ემანსიპაციის კონცეფციას ეფუძნება, რომელიც თავის მხრივ უნივერსალურ ღირებულებებს ეყრდნობა. აღნიშნული ნიშნავს, რომ განმანთავისუფლებელი მშვიდობა შეიძლება ლიბერალური სპექტრის, რადიკალურ ბოლოში განთავსდეს. მიუხედავად იმისა, რომ ის ინდივიდუალურზე არის ფოკუსირებული და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ,,ქვემოდან ზემოთ“ განიხილავს, ზოგადად, ის მაინც შიდა და საერთაშორისო იერარქიული გაგების აუცილებლობას ეყრდნობა. აღნიშნული აძლიერებს ისეთი სტრუქტურების, აქტორებისა და ჩარჩოების საჭიროებას, რომელიც დაიცავს ინდივიდს და, უნივერსალურად განსაზღვრული ღირებულებებით, თავისუფლად მუშაობის საშუალებას მისცემს. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მშვიდობის ემანსიპატორული ცნებები ვერ გაექცევა იერარქიის საფრთხეებს. კერძოდ, უმაღლესი დონის აქტორები, უნივერსალური სისტემის შენების მტკიცებით, სისტემაში საკუთარ მიკერძოებებს და ინტერესებს ჩანერგავენ. ამიტომ, ნებისმიერი უნივერსალური მშვიდობის სისტემა, ჰეგემონიური აქტორების მიერ, მისი ხელში ჩაგდების მცდელობისგან, დაუცველია.

ემანსიპატორული მშვიდობის რელატივისტური ვერსია ძირეული მოთხოვნილებებისა და მიზნების ცვალებადობისადმი შეიძლება უფრო მგრძნობიარე იყოს. მისი რადიკალური ფორმით შესაძლოა ანარქიზმს დაუკავშირდეს. იმ გაგებით, რომ ის სრულ,

[72] Shapcott, op. cit., p. 222.

[73] Ken Booth, “Security and Emancipation”, Review of International Studies, Vol. 17, No. 4 (1991), pp. 313–326.

ინდივიდუალურ აგენტობას მოითხოვს, რომელიც წესრიგის წარმომქმნელი იერარქიული სისტემებისგან დამოუკიდებელი იქნება. მშვიდობის ამ ვერსიას ერთადერთი ნაკლი აქვს, კერძოდ, მისი ორგანიზება, სავარაუდოდ, შეუძლებელია, ვინაიდან ეს იერარქიის ინსტიტუციონალიზაციას და ავტორიზაციას მოახდენდა, რაც ჰეგემონიის პრობლემასთან გვაბრუნებს. ეს კი რელატივისტურ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთქმედების პრობლემას წარმოშობს. ამ პრობლემების მიუხედავად, ჰეგემონიის, როგორც უნივერსალური, ისე რელატივისტური ვერსიები, მშვიდობის ახალი დღის წესრიგის ხედვას გვთავაზობს. რთულია იმ ფაქტის გააზრება, თუ როგორ შეუძლიათ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს ასეთი რადიკალური კრიტიკის გაძლება, მშვიდობის საპირისპირო გაგებისკენ გადახვევის გარეშე, რომელიც ანარქიის ფორმას წარმოადგენს[74].

საკამათოა, რამდენად შეუძლია ამ ტიპის აზროვნებას გადალახოს ის ტვირთი, რომელიც სხვა აქტორებისთვის მომავლის წინასწარმეტყველებისა და გარკვეულწილად კოსმოპოლიტიზმის ლიბერალურ პრეტენზიებთან დაკავშირებული, მშვიდობის ტოტალიტარული დისკურსის დაწესების ტენდენციას უკავშირდება. ამ ტიპის არგუმენტში ხშირად იგულისხმება, რომ მისი მონაწილეები თავისთავად ან მინიმალურად მაინც „ლიბერალები“ არიან[75]. კიდევ უფრო საშიშია ვარაუდი, რომ ყველა აგენტს ლიბერალად ყოფნა სურს, იმ შემთხვევაში, თუ ამჟამად, ისედაც ლიბერალები არ არიან. დაბოლოს, ლიბერალიზმი ინდივიდუალიზმს, რაციონალური და ყოვლისმცოდნე უმაღლესი ორგანოს, ორგანიზაციის ან აქტორის მიერ დადგენილ საზღვრებში აღნიშნავს. ეს გახლავთ პრობლემა, რომელსაც ლიბერალური მშვიდობის კონტრდისკურსების და კრიტიკის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ტიპის ანალიზი წინა მიდგომების შეზღუდვებს სცდება და ლიბერალური მშვიდობის მნიშვნელოვან კრიტიკას გვთავაზობს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სწორედ მოცემული ტიპის ანალიზით შეიძლება მშვიდობა, მშვიდობის სხვა ფორმებთან თანაარსებობის და მოლაპარაკების პროცესში, გარკვეულწილად მაინც, ადამიანის აგენტობის პროდუქტად განიხილებოდეს. განმანთავისუფლებელი მშვიდობის ასაშენებლად, კანტიანურ-ჰაბერმასისეული პოსტულატი მორალისა და ნორმების უნივერსალურობის შესახებ[76] მნიშვნელოვან გზამკვლევს წარმოადგენს. ამავდროულად, ის ლიბერალური მშვიდობის პროექტისთვის პრობლემებსაც წარმოქმნის, რომელიც შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს (რაც მოცემული ესეს ფარგლებს სცდება).

ეს კრიტიკული არგუმენტები, მშვიდობის მშენებლობისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ შედეგებს ატარებს იმ ხედვისგან განსხვავებით, რომლის მიხედვით, ასეთ მიდგომებს პოლიტიკის სამყაროსთან ურთიერთკავშირი არ შეეძლოთ. მაგალითად, როგორც ლიბერალური მშვიდობის არგუმენტი გვკარნახობს, მშვიდობა არის განზოგადებული, უნივერსალური და ის რეალურად შეიძლება აშენდეს. შესაბამისად, საყოველთაო ემანსიპაციის კრიტიკული პროექტი მიუთითებს, რომ ლიბერალური მშვიდობის პროექტის განვითარებამ, შემდგომი ემანსიპატორული დახვეწა შეიძლება გამოიწვიოს, რომელიც სავარაუდოდ ადამიანის უსაფრთხოების საკითხებს დაუკავშირდება. უფრო რადიკალური, პოსტსტრუქტურალიზმთან დაკავშირებული კრიტიკით მტკიცდება, რომ ეს სიცოცხლისუნარიანი პროექტი არ არის. ეს კი პოლიტიკის შემქმნელებს, საკუთარი

---

[74] George Monbiot for an attempt to make this argument about emancipation and anarchy.
George Monbiot, The Age of Consent (London: Perennial, 2004).

[75] Stephen Hopgood, “Reading the Small Print in Global Civil Society”, Millennium, Vol. 29, No. 1 (2000), p. 10.

[76] Jurgen Habermas, Moral Consciousness and Communicative Action (Cambridge: Polity, 1990), p. 64.

ქმედებების გაუთვალისწინებელი შედეგების მიმართ მგრძნობელობის გარდა, არაფერს აძლევს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოცემული მიდგომები, მშვიდობის მდგრადობის გასაძლიერებლად, ამ გაუთვალისიწინებელი შედეგების გამოვლენისა და მათზე რეაგირების აუცილებლობაზე მიუთითებს. უფრო მეტიც, მშვიდობა არ უნდა იყოს მხოლოდ გარეგნულად მდგრადი, არამედ უნდა იყოს თვითმდგრადი. მიუხედავად ამისა, მშვიდობის, როგორც კომუნიკაციური მოქმედებების გადააზრება, ჰაბერმასის დიალოგურ ურთიერთობებზე დაფუძნებით, მშვიდობის ნებისმიერი განხილვისას, მოლაპარაკებისა და შუამავლობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს. მოლაპარაკება და შუამავლობა აქტორებს შორის, ინტერესების, ნორმებისა და ღირებულებების შესახებ, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ისევე, როგორც ინდივიდების როლზე, ემანსიპაციის შედეგად, აგენტობის მოპოვებისას[77] მიმდინარეობს. ამ ტიპის პროცესი, სწავლა და უკუკავშირი. მშვიდობის მშენებლობის ხელისშემწყობ თეორიებისა და პრაქტიკის უმეტესობაში არ არის თვალსაჩინო. მართლაც, მშვიდობისა და კონფლიქტების თეორიის „მეოთხე თაობის“ ეს განვითარება, მშვიდობის მთავარი დოგმატის კონტრდისკურსად გვევლინება[78]. ამავდროულად, ის პრობლემატურიც არის, ვინაიდან უნივერსალიზმი, რომელიც ემანსიპატორულ, კრიტიკულ თეორიასაც კი ახასიათებს, უპირატესობას ლიბერალურ პოზიციებს ანიჭებს. კერძოდ, ის შეიძლება მიდრეკილი იყოს მოსაზრებისაკენ, რომ ურთიერთობის ერთ-ერთ აქტორს, კონკრეტულ სფეროში, აქვს უკეთესი ცოდნა ან მეტი გამოცდილება და ამიტომ მან მეორის ემანსიპაციისთვის უნდა იმოქმედოს. გარკვეულწილად, ეს არის ის თავსატეხი, რომლის წინაშეც ლიბერალური მშვიდობა და მასთან დაკავშირებული სამშვიდობო კონსენსუსი ხშირად დგას. ამ თვალსაზრისით, მშვიდობა უბრალოდ არის „განსხვავება“[79], რომელიც შემქმნელების საუკეთესო ზრახვების მიუხედავად, მისი ზოგიერთი შემადგენელი ნაწილისთვის, უსამართლობას და კონფლიქტს წარმოქმნის[80].

მშვიდობის გაგების ეს ემანსიპატორული მიდგომები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მშვიდობის ზოგიერთი კონცეფცია მეინსტრიმულ, ორთოდოქსულ და კონსერვატიულ დისკურსებში მოხვედრისკენ არის მიდრეკილი, ხოლო სხვები[81] ფაქტობრივად, კონტრდისკურსებს წარმოადგენენ. აღნიშნული კრიტიკულად მიუთითებს იმაზე, რომ მშვიდობის ცნება არ შეიძლება იმ ზედსართავი სახელის გარეშე გამოიყენებოდეს, რომელიც განგვისაზღვრავს, თუ რა ტიპის მშვიდობაზე ვსაუბრობთ, ვინ განსაზღვრავს მას და რა მიზეზებით. ლიბერალური მშვიდობა ამის კლასიკური მაგალითია და მიუთითებს იმაზე, რომ მისი იმპლიციტური თეორეტიზება შეზღუდვების გაცნობიერებას გულისხმობს. ფაქტობრივად, მშვიდობის, როგორც იდეალური ფორმის, (მისაღწევი თუ მიუღწეველი), ასეთი ორთოდოქსული შეფასება, თავისი არსით, დისკურსიულ თამაშს

---

[77] Anthony Giddens, Modernity and Self-identity (Cambridge: Polity, 1991), p. 211.

[78] Oliver P. Richmond, Maintaining Order, Making Peace (London: Palgrave, 2002), pp. 192–200.

[79] ავტორი იყენებს ჟან ფრანსუა ლიოტარის ტერმინ- დიფერენდს. *(ე.ბ.- მთარგმნელის შენიშვნა).*

[80] Jean-Francois Lyotard, The Differend: Phrases in Dispute (trans. Georges Van Den Abeele) (Manchester: Manchester University Press, 1988), p. ix.

[81] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „კოსმოპოლიტური კონფლიქტის მოგვარების“ ცნება, რომელიც მშვიდობისა და კონფლიქტების შესახებ პასუხად გაჩნდა, ცდილობდა შეეცვალა დარგის ორთოდოქსული დღის წესრიგი, კრიტიკის მეშვეობით. ამასთან, კოსმოპოლიტური კონფლიქტის მოგვარება, ლიბერალური მშვიდობის დღის წესრიგთან, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირშია. იხ: Hugh Miall et al., Contemporary Conflict Resolution, 2nd edn (Cambridge: Polity, 2005).

წარმოადგენს, რომელშიც ტერმინის გამოყენება ხშირად ნიღბავს ან საბაზისო მიზნების ლეგიტიმაციას ახდენს. ლიბერალური მშვიდობა და მშვიდობის ემანსიპატორული ცნება ხშირად ერთმანეთთან არის გაიგივებული, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. მიუხედავად ამისა, მშვიდობის შესახებ დისკუსიების, პრეტენზიებისა თუ შეფასებების უმრავლესობაში, მისი განმანთავისუფლებელი თვისებები მტკიცდება და ხაზი ესმება, ვინაიდან ის ძლიერი ნორმატიული კონცეფციაა.

დასკვნა

მშვიდობა შეიძლება კონსტრუირდეს, როგორც გეოგრაფიულად შემოსაზღვრული მდგომარეობა, როგორც შეზღუდული, ან ჯვაროსნული, ან თავდაცვითი, ან როგორც ნორმატიული ფარული დინება, ,,იქ, გარეთ". ის, პოლიტიკური კონსტრუქციების ან სოციალური თუ ეკონომიკური ჩარჩოების შედეგად, რაციონალურ ან სუბიექტურ პროცესად შეიძლება განვიხილოთ. ამასთან, შესაძლოა შეზღუდული ლოკალური თუ გლობალური იდენტობების, ინსტიტუტების, სამოქალაქო თუ საერთაშორისო საზოგადოების, გადაწყობას ეყრდნობოდეს, ან ჰეგემონიის შემზღუდველი თუ მარეგულირებელი რეჟიმების შედეგს ან მათგან გათავისუფლების აქტს წარმოადგენდეს. თანამედროვე ლიბერალური მშვიდობა ,,სუვერენული ადამიანის" ინსტიტუციონალურ, საერთაშორისო, კონსტიტუციურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, განვითარებასთან დაკავშირებულ, სამოქალაქო და სოციალურ კონცეფციებს ქმნის. ისინი მშვიდობის რაობის ნავარაუდევი კონსენსუსის საფუძველზე იქმნება. ამ კონცეფციის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რაც ზემოთ განხილული მოდელებიდან, რომელიმესთვის პრიორიტეტის მინიჭებაზე არის დამოკიდებული. წარმოქმნილი ჰიბრიდული ფორმა, უმეტესწილად, გარე აქტორების მიერ, (კონფლიქტურ ზონებში, მშვიდობის მიღწევის გზაზე), დაბრკოლებების განსაზღვრაზე არის დამოკიდებული, ისევე როგორც იმაზე, თუ როგორ განუსაზღვრავენ ისინი საკუთარ თავს მშვიდობას. ამრიგად, არცერთი ზემოთ აღწერილი მშვიდობის მოდელი თავისთავად არ არსებობს. ის, რაც მოცემულ ესეში განვიხილეთ, ლიბერალ მშვიდობაზე, აზროვნების სხვადასხვა მოდელის დეზაგრეგაცია, დაცალკევებაა.

თანამედროვე ლიბერალური მშვიდობა აქტორთა რთულ ქსელს ეყრდნობა, რომლებიც საერთო მშვიდობის მშენებლობის უზრუნველყოფაზე, ძირითად სახელმწიფოებთან, დონორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მშვიდობა-მმართველობის მეშვეობით ინსტიტუციონალიზების საკითხზე მუშაობენ. ეს ყოველივე ნიშნავს, რომ მმართველობის საერთაშორისო, ტრანსნაციონალური და გარე ფორმები ლიბერალურ მშვიდობას ჰქმნიან. აღნიშნული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: დემოკრატიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა, ნეო-ლიბერალური განვითარება, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. კონფლიქტის ზონებში განხორციელებული ყველა ინტერვენციული მოქმედება, არასამთავრობო ორგანიზაციების, სააგენტოების, სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამხედროების და რა თქმა უნდა, დონორების მიერ ამ მოთხოვნებს შეესაბამება. უფრო მეტიც, შესაბამის ლიტერატურასა და პრაქტიკაში განხილული, მშვიდობაზე მსჯელობის ყველა ეს ძირითადი აზროვნების მოდელი, ერთმანეთთან იკვეთება, ამიტომ დახურულ კატეგორიებად არ უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია თვალი მივადევნოთ მშვიდობის შედარებით შეზღუდული ცნებების (რომელიც შეიცავს, შემოიფარგლება და ხშირად პრაგმატულად ან უტოპიურად განიხილება) წრფივ ევოლუციას, გამარტივებული იქნება ვივარაუდოთ, რომ ჰიბრიდული მშვიდობა იმ შეზღუდვებს თუ ნაკლოვანებებს არ ექვემდებარება, რომელიც მის კომპონენტებს ახასიათებს. უფრო მეტიც, როგორც თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, მსოფლიოს ბევრ

ნაწილში, ლიბერალური მშვიდობის შედეგი მხოლოდ ,,ვირტუალური მშვიდობაა". ხოლო მასთან დაკავშირებული მეთოდები და მიზნები, ლიბერალურ საერთაშორისო საზოგადოებაში, ძირითადად, კონფლიქტისთვის თვალის შორიდან მადევნებლებისთვის არის ხილული, და არა მათთვის, ვისაც ეს მშვიდობა ეწვია. მართლაც, ეს უწყვეტობა, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, მშვიდობის სამგვარი განსხვავების სახით შეიძლება აღმოვაჩინოთ, როგორც კონსერვატორული, ლიბერალური და ნაციონალისტური[82].

ლიბერალური მშვიდობა კონსერვატიულია იმ გაგებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც უნივერსალური ფორმა, საკუთარ თავს, სხვებს, ცხოვრების გასაუმჯობესებლად სთავაზობს, ამავდროულად, მის დაქვემდებარებაში მყოფთა მორალურ უპირატესობას და დახვეწილობას იცავს და ხაზს უსვამს. გარდა ამისა, მას შეფარულად, ეროვნული ინტერესების ხელშეწყობა ახასიათებს, ნეოინსტიტუციონალიზმისა და საერთაშორისო აქტორების მთავარი სახელმწიფო სპონსორების მეშვეობით.

ამ კრიტიკული შენიშვნებიდან ბევრი, მშვიდობის რეფლექსური ვერსიიდან ჩნდება, რომელიც სხვადასხვა ემანსიპატორულ დისკურსს (ფოკუს, ჰაბერმასის, კოქსიანური და სხვა) უკავშირდება ისეთს, როგორიც არის ენდრიუ ლინკლეიტერის, ვივიან ჯაბრის და რიჩარდ ფალკის შრომები.[83] მათი ყურადღების ცენტრში არის საყოველთაო მშვიდობის მშენებლობა, რომელიც მოლაპარაკებების, ლეგიტიმურობისა და კონსენსუსის მეშვეობით მიიღწევა, და არა მორალური უპირატესობით შეფერილი, კონსენსუსის დაშვებაზე აგებული მშვიდობა. ეს მშვიდობის მახასიათებლების აღწერის ძალიან მნიშვნელოვან (თუმცა როგორც ზოგიერთი ამტკიცებს, უტოპიურ) მცდელობას წარმოადგენს. ის ხშირად კონფლიქტების გადაწყვეტის შესახებ ლიტერატურაში არის განხილული, სადაც კონსენსუსი, სიმართლე, სამართლიანობა და ინდივიდუალური აგენტობა კონსტიტუციური, ტრანსნაციონალური და საერთაშორისო სტრუქტურების ფარგლებში არსებობს.

მშვიდობის შესახებ გავრცელებული მოდელების ილუსტრირების ამ მცდელობიდან, რამდენიმე ძირითადი ონტოლოგიური და ეპისტომოლოგიური მიმართულება გამომდინარეობს. მშვიდობის შესახებ აზროვნების ფილოსოფიური მიმართულება ცდილობს უზრუნველყოს ნორმატიული გაგება იმის, თუ როგორი იქნება მშვიდობა, უნივერსალური მორალური წესრიგის თვალსაზრისით. პოზიტივისტური მიმართულება, რესურსებისა და სტრუქტურების ხელახალი გადალაგების კონტექსტში, ერთეულთა ურთიერთქმედების მეცნიერული გამოკვლევის გზით, საბაზისო დონის წესრიგის შექმნას ცდილობს. პოსტპოზიტივისტური მიმართულება ფოკუსირებულია ჰეგემონიისგან, დომინაციისა და მარგინალზებისგან გათავისუფლებაზე, რაც უნივერსალური კრიტიკული წესრიგის, ან ყოფიერების ონტოლოგიური და ეპისტმოლოგიური გაგებით და ჰიბრიდული ან მრავლობითი მშვიდობის შეცნობის მეშვეობით წარმოუდგენია.

ამ თვალსაზრისით, მშვიდობა, თუნდაც ლიბერალური მშვიდობა, სუბიექტურ ონტოლოგიას და სუბიექტურ პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს. ანალოგიური მომენტი ე. საიდმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, ,,ორიენტალიზმში"

---

[82] John G. Ikenberry, After Victory (Princeton: Princeton University Press, 2001), p. 116

[83] Richard Falk, On Humane Governance (University Park: Pennsylvania State University Press, 1995); Andrew Linklater, The Transformation of Political Community (Columbia: University of South Carolina Press, 1998); Vivienne Jabri, op. cit., pp. 145–167.

გამოიკვლია. ის ამტკიცებდა, რომ დასავლური წარმოდგენები სხვაზე (ამ შემთხვევაში, კონკრეტულად აღმოსავლეთი), სხვების შესახებ ნეგატიური აღქმის შექმნისას, აბსოლუტიზმის დასავლურ ჩვევას უსვამს ხაზს.[84] იგულისხმება, რომ იმპერიალიზმმა გაუთვალისწინებელი უწყვეტობა გამოიწვია იმის, რაც პოსტიმპერიული სამყარო უნდა იყოს. ანალოგიურის თქმა შეიძლება მშვიდობის მოდელებზე მსჯელობისას. მართლაც, მშვიდობასთან დაკავშირებული აზროვნების მოდელების გასაანალიზებლად საიდის ჰუმანიზმის გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ მშვიდობა, ემანსიპატორულიც კი, პლატონური იდეალური ფორმაა. ამის მიუხედავად, მშვიდობა უმეტესად იდეალურ ფორმად განიხილება და ბენედიქტ ანდერსონის ნაციონალიზმის კონტექსტში[85], ,,ბეჭდვითი კაპიტალიზმის" საგნად ხშირად იქცევა.
განხილული აზროვნების მოდელების უმეტესობა აჩვენებს, მშვიდობაზე მსჯელობის, ინტერპრეტაციის და მოხსენიების მიუხედავად, ყოველთვის შენიღბულია ის ფაქტი, რომ მშვიდობა სადავოც არის. ხშირად ის ჰეგემონიის აქტია, რომელიც უმეტესად კეთილგანწყობის, თავდაჯერებულობის თუ სიბრძნის სახით და აგენტების თვალში, რაიმე პოზიტიურის გაკეთების ან მიღწევის სურვილით არის შენიღბული. ნამდვილად, სრულად შესაძლებელია, რომ მშვიდობაზე ბევრი მტკიცება რეალურად, „ორიენტალიზმის" ფორმა იყოს. ისინი იმ სუბიექტებზე არის დამოკიდებული, რომლებმაც იციან მშვიდობა, იმის ნაცვლად რომ მშვიდობა შექმნან მათთვის, ვინც მშვიდობას არ იცნობს. მშვიდობის ცოდნა ვლინდება მათ მოქმედებებში, ან მშვიდობის იმ დისკურსებში, რომელიც კონფლიქტისა და ომის აღსაწერად გამოიყენება. სავარაუდოა, რომ განათლებულ და რაციონალურ აქტორს, შესწევს უნარი განსაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს მშვიდობა სხვისთვის და როგორ შეიძლება მისი მიღწევა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ კონფლიქტში ჩართული სუბიექტები, რაღაც დონეზე არასრულფასოვანი, მოტყუებული ან ძალადობით, იდენტობაზე პრეტენზიებით, ძალაუფლებით, ტერიტორიით ან რესურსებით შეპყრობილი არიან. კონფლიქტის ზონები წარმოდგენილია ტერა ინკოგნიტოდ, რომელზეც შესაძლებელია გარეგანი მშვიდობის ვერსიის დაშენება, იმის შიშის გარეშე, რომ წარმატების შემთხვევაშიც კი, შედეგი მშვიდობის, ბუნდოვან, იდეალურ ფორმას შეიძლება არ დაემსგავსოს.

მშვიდობის შესახებ მსჯელობის და მოდელების გააზრების საერთო მახასიათებელი არის ის, რომ მშვიდობა საზოგადოებრივი თანხმობის ფორმად განიხილება[86], რომელიც თავის მხრივ ლეგიტიმურობისა და თანხმობის, ჰეგემონიის, მუქარისა თუ ძალის გამოყენების სხვადასხვა ხარისხს მოიცავს. ის, აგრეთვე, სოციალური კონსტრუქციაა, რომელიც კონსენსუსის ან ჰეგემონიის ინსტიტუტების მეშვეობით ვრცელდება. უკანსაკნელი საკითხი კონფლიქტისა და მშვიდობის ანთროპოლოგიურ შრომებში განსაკუთრებით კარგად ჩანს. მაგალითად, უომო საზოგადოებების შესახებ კელის კვლევაში გამოვლინდა, რომ ანდამანელები ომსა და მშვიდობას, როგორც სოციალურ კონსტრუქციას[87] ჰქმნიან, ხოლო ომის განვითარებასთან ერთად, მისი ანაზღაურების მექანიზმებიც იცვლება[88]. სხვა

---

[84] იხ: Edward W. Said, Orientalism (London: Routledge, 1978), esp. the Introduction.
[85] Benedict Anderson, Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism (New York: Verso, 1983).
[86] R.J. Rummel, The Just Peace (Beverly Hill: Sage, 1981), p. 11.
[87] Raymond C. Kelly, Warless Societies and the Origins of War (Ann Arbor: University of Michigan Press, 2000), p. 108.
[88] Ibid., p. 160. სხვა შემთხვევის გასაანალიზებლად კი იხილეთ: კვიპროსი - Rebecca Bryant, Imagining the Modern: The Cultures of Nationalism in Cyprus (London: I.B. Taurus, 2004); ან შრი-ლანკა- Jonathan Spencer (ed.), Sri Lanka: History and the Roots of Conflict (London: Routledge, 1990).

სიტყვებით რომ ვთქვათ, მშვიდობის შესახებ მსჯელობაში გამოყენებული, სივრცითი, დროითი და კონცეპტუალური ორობითი რიცხვები (ბინარები) ხშირად დისკურსების სუბიექტურობის, თვითდაინტერესების (მიკერძოებულობის) შენიღბვისთვის გამოიყენება და კამათის საგანს (უმცირესობათა ჯგუფების ან დიდი რაოდენობით სხვა სახელმწიფოების ან ,,ცივილიზაციების“ მიერ) წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ მშვიდობის ცნება, მისი ნავარაუდევი თვისებების, შემოწმების გარეშე არასდროს უნდა გამოვიყენოთ.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და კონფლიქტის ზონებში მშვიდობის მშენებლობის შესახებ პოლტიკურ დებატებში, მშვიდობაზე მსჯელობისას, ასეთი მოდელების გამოვლენა უმნიშვნელოვანესია. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობის თვითმდგრადობის საკითხის გამოკვლევა გვაინტერესებს მაშინ, როდესაც ის ინტერვენციის გარე ფორმების მეშვეობით იქმნება, იქნება ეს საომარი, ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარევა. ის, თუ როგორ ვფიქრობთ მშვიდობაზე, როგორც კონცეპტუალური, ისე ონტოლოგიური თვალსაზრისით და მეთოდები, რომლებსაც მისი მშენებლობისთვის ვიყენებთ, ამ მშვიდობის ხარისხობრივ მდგრადობაზე დიდ გავლენას ახდენს. დღეს ლიბერალური მშვიდობის დასამყარებლად (როგორც სახელმწიფოებრივი წარუმატებლობის საპასუხოდ), უზარმაზარი რესურსები იხარჯება, საჭიროა არამხოლოდ მოკლევადიან ზემოქმედებასა და მიზნებზე ორიენტირებული კვლევა, არამედ ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის ინტელექტუალური და გრძელვადიანი პოლიტიკური შედეგების გამოკვლევა. უპირველესად, უნდა გავიგოთ ის საერთო ვარაუდები და მოდელები, რომელიც მშვიდობის შესახებ ოფიციალურ და ინტელექტუალურ დებატებში არის გავრცელებული.